ჩვენი გაზეთის 2016 წლის ბოლო ნომერი გამოვა ხვალ!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 29 დეკემბერი. 2016 წ. №244 (8136), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვინ გახდა წლის პოლიტიკოსი?

პოლიტოლოგთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ 2016 წლის დადებითი პოლიტიკოსი გიორგი მარგველაშვილია, ხოლო პაატა ბურჭულაძეს უარყოფითი პოლიტიკური ფიგურის სტატუსი ვერავინ წაართვა. მომავალი, 2017 წელი, გამოცდილ პოლიტიკოსებთან ერთად, უკვე ახალი სახეებისთვის კარგი ასპარეზი იქნება, რათა სხვადასხვა გამოკითხვებით და შესაბამისად, საზოგადოების შეფასებით, ქართულ პოლიტიკაში დადებითი სტატუსი მოიპოვონ.

3-9

პრეზიდენტი და ანა დოლიძე პარლამენტს კიდევ ერთხელ მოქლვრავენ...

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა დოლიძის განცხადებით, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა რამდენიმე კანონპროექტს, მათ შორის საჯარო სამსახურის კანონში ცვლილებების შესახებ, თუმცა პრეზიდენტი მოუწოდებს ახალარჩეულ პარლამენტს, რომ არ გაიმეოროს ის არასწორი პრაქტიკა, რომელიც ჰქონდა წინა პარლამენტს კანონპროექტების გადავადებასთან დაკავშირებით.

„საქართველოს პარლამენტმა გადაავადა რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო დონის რეფორმა, მათ შორის საჯარო სამსახურის რეფორმა და გადაწია ამ რეფორმების შესრულების ვადები. საქართველოს პრეზიდენტი აწერს ხელს ამ კანონპროექტებს, თუმცა მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, რომ არ გაიმეოროს ის არასწორი პრაქტიკა, რომელიც ჰქონდა წინა პარლამენტს გადავადებებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ყველა რეფორმას ფასი აქვს მაშინ, როდესაც ის არის დროული და განსაკუთრებით იმიტომ, რომ სახელმწიფო ამოცანად დასახული არის სწრაფი განვითარება“, — განაცხადა ანა დოლიძემ.

„მაშინ მიჩივლოს მარეგულირებელმა!“...

ტელეკომპანია „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი რუხაძე ამბობს, რომ მედიაჰოლდინგის შიგნით რამდენიმე საინფორმაციო სამსახურის ფუნქციონირება დასაშვებია — „მაშინ მიჩივლოს მარეგულირებელმა,“ აცხადებს რუხაძე და ახალი ამბების გაშვებას გეგმავს როგორც „იმედზე“, ისე „მაესტროზე“:

„არ ვკითხულობთ ასე კანონს, სასამართლოში გავაგრძელებთ ჩივილს, ეს კანონი იყო ანტიბადრი პატარკაციშვილის კანონი, რომ ბადრის არ ჰქონოდა ერთზე მეტი ტელევიზია, ემსახურება იმას, რომ ქვეყანაში იყოს 50-60 დაქუცმაცებული, გაუბედურებული, პატარა ტელევიზია. „მაესტრო“ და „იმედი“ შეიძლება, იყოს ერთსა და იმავე ადამიანის მფლობელობაში და ორივეს ჰქონდეს საინფორმაციო, GDS-ს არ ექნება საინფორმაციო“...

ირაკლი რუხაძემ კომენტარი გააკეთა ასევე ტელეკომპანია „მაესტროს“ მეწილეებთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ მაკა ასათიანთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. რაც შეეხება მამუკა ღლონტს, მან იმედი გამოთქვა, რომ მამუკა ღლონტთან ნორმალური სამუშაო ურთიერთობა ექნება.

დავით ნარმანიამ 2016 წელი შეაჯამა

ისტორიული პროექტები, ხალხის კეთილდღეობა და... სამორინეების იმედზე დარჩენილი ქალაქის ბიუჯეტი

4

მაინც საქმეა მთავარი!..

დავით ჯიქია: რუსთავი პრობლემების პირისპირ

5

ვეძებთ სიმართლეს!..

„ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის იური ჩიქოვანის განცხადებები

7

არსად ისე არ მღერიან...

მის ხმაში მთის სიდიადე იგრძნობოდა

6

„ვანო მომკვდარა, ბულბული სტვენდა, რომ საქართველომ დაჰკარგა შვილი, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრეობას აგრძელებს ნიკო ქუმსიაშვილი“.

მიხეილ ჯანელიძე: წარმატებული წელი ქართული დიპლომატიისთვის

წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა 2016 წელს ქართული დიპლომატიისთვის წარმატებული უწოდა და განაცხადა, რომ ეს წელი ისტორიაში შევა, როგორც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის წელი.

„ეს წელი საკმაოდ წარმატებული იყო ქართული დიპლომატიისთვის, საგარეო პოლიტიკისთვის. პირველ რიგში, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ 2016 წელი შევა ისტორიაში როგორც ახალი ეტაპი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების. ივლისში ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება და სრულად ამოქმედდა. ევროინტეგრაცია არის ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და კეთილდღეობის გარანტი და ასევე, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, შერიგების და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საწინდარი“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

მისივე თქმით, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების კუთხით საქართველო აგრძელებს პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულებით.

„პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვაგრძელებთ კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. ეს დისკუსიები და რაუნდები, რომელიც იმართება რეგულარულად, საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. არ არის პროგრესი ძირითად საკითხებზე, რომელიც აქტიურად დგას დღის წესრიგში საქართველოს მხრიდან და ხდება ამ საკითხების გადაჭრის მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური მობილიზება, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის დესტრუქციული ქმედებების გამო ამ ფორმატში ძირითად საკითხებზე არ არის პროგრესი“, – აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ვლადიმერ ჩაჩიბაია: ოპტიმიზაციის უმთავრეს მიზანს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს

გენერალური შტაბის უფროსი დასავლეთ სარდლობაში შეხვედრებს გააგრძობს.

ნატოს სტანდარტები და ბიუჯეტის ეფექტური გადანაწილება თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიმართულებებია – ეს განცხადება გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ დასავლეთ სარდლობის ქვედანაყოფების ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გააკეთა. გენერალური შტაბის უფროსმა შეხვედრები სენაკში, II მსუბუქ ქვეით ბრიგადასა და ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადაში, ასევე ხონში, II საარტილერიო ბრიგადაში გამართა.

ბრიგადის გენერალმა სამხედროებთან საუბრისას შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე ტრანსფორმაციის ფარგლებში ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ მტკივნეული პროცესის მიუხედავად, ოპტიმიზაციის უმთავრეს მიზანს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს. თავის მხრივ, დასავლეთ სარდლობის სხვადასხვა სამხედრო დანაყოფის ხელმძღვანელობამ გენერალ ჩაჩიბაიას სამხედრო ნაწილებში არსებული ვითარება დეტალურად გააცნეს და თავდაცვის უწყებაში დაგეგმილი რეფორმების განხორციელების პროცესში მხარდაჭერა აღუთქვეს.

2017 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი დამტკიცებულია

აჭარის ა.რ მთავარი ფინანსური დოკუმენტი უპრეცედენტოდ მაღალია და 315 მლნ ლარს შეადგენს. 2016 წელთან შედარებით ბიუჯეტი დახლოებით 121 733 000 ლარით,63 %-ით გაიზარდა.

აჭარის უმაღლეს საბჭოს 2017 წლის ბიუჯეტი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ წარუდგინა. მინისტრმა 2017 წელს განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა. 5-საათიანი სხდომა საკანონმდებლო ორგანოში კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა. რამაზ ბოლქვაძემ დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. 2017 წლის ფინანსურ დოკუმენტში გაზრდილია პროგრამების დაფინანსება:

- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები 505 000 ლარით გაიზარდა;
- გზების რეაბილიტაციის პროგრამები 7 384 000 ლარით გაიზარდა;
- ტურიზმის პროგრამები 1 618 300 ლარით გაიზარდა;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები 4 570 300 ლარით გაიზარდა;
- განათლების კულტურისა და სპორტის პროგრამები 3 877 400 ათასი ლარით გაიზარდა.

2017 წელს უპრეცედენტოდ მაღალია მუნიციპალიტეტების კაპიტალური ტრანსფერები, რაც 71 208 800 ლარს შეადგენს.

2017 წლის ბიუჯეტით მსხვილი კაპიტალური პროექტები განხორციელდება:

ბათუმის ესტაკადის მშენებლობისთვის 21 მლნ ლარია გათვალისწინებული.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების ურბანული განვითარება 240 000 ლარით დაფინანსდება. პროგრამა ჩაქვი-ციხისძირისა და ბობოყვათის საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების განაშენიანების რეგულირების გეგმის შექმნას და ამ ტერიტორიების სამომავლო განვითარებას ითვალისწინებს.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარებისთვის 2017 წლის ბიუჯეტში 100 000 ლარი განისაზღვრა.

აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირებისთვის 250 000 ლარი დაიხარჯება.

შპს „სტადიონის“ ბიუჯეტი 38 მლნ ლარს შეადგენს, რაც ბათუმის საერთაშორისო საფეხბურთო სტადიონისა და ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობას მოხმარდება.

SIC! რატომ ღებულობდნენ იმაზე მეტ ოპტიმიზაციის პროცესი დაძაბულობის ფონს ზრდის

სამინისტროებში დაწყებული ოპტიმიზაციის პროცესი იანვარში დასრულდება. ბრძანება, რომელიც თანამშრომლების გაფრთხილებას ითვალისწინებს, 2 დეკემბერს გამოიცა. ყველა უწყებას საკუთარი გეგმა აქვს – სამინისტროების უმეტესი ნაწილი ოპტიმიზაციას თანამშრომლების გათავისუფლების ხარჯზე, ნაწილი კი – ადმინისტრაციული თანხების შემცირების ხარჯზე გეგმავს.

შტატების შემცირებას და თანამშრომელთა გათავისუფლებას არ გეგმავს ევროინტეგრაციის სამინისტრო. როგორც მინისტრი **ვიქტორ დოლიძე** აცხადებს, უწყებას ადმინისტრაციულ ტექნიკურ ხარჯებთან დაკავშირებით მოუწევს შეკვეცა, ეს არ არის იოლი. თუმცა, მისი თქმით, ეს არის აუცილებელი. ვიქტორ დოლიძის უწყება 300 ათასი ლარის დაზოგვას აპირებს.

ბიუჯეტის ოპტიმიზაციას გეგმავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მაგრამ როგორც მინისტრი **კახი კახიშვილი** აცხადებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ოპტიმიზაცია იქნება პრიორიტეტულად კადრების შემცირების მიმართულებით. როგორც მინისტრმა „პალიტრანიუსის“ ეთერში განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ ოპტიმიზაციას შემცირებების გარეშე შეძლებენ.

მთავრობის ინიციატივით, სამინისტროებში დაწყებული ოპტიმიზაციის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს რეგიონალური განვითარების სამინისტროში და როგორც უწყებაში განმარტავენ, ოპტიმიზაციის პროცესი შემცირების ფონზე მიმდინარეობს. უკვე ცნობილია, რომ ოპტიმიზაცია რიგით თანამშრომლებთან ერთად შეეხება კულტურის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებსაც.

„საშტატო, პროგრამული თუ ადმინისტრაციული ოპტიმიზაცია იქნება თავად ცენტრალურ აპარატში, ყველა ამ მიმართულებით ხდება რეორგანიზაცია. რიგითი თანამშრომლების ხარჯზე ეს მხოლოდ არ მოხდება. საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების საშტატო ერთეულების რეორგანიზაცია მოხდება და იანვარში დავასრულებთ ამ პროცესს“, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ადმინისტრაციული ხარჯები 10%-ით უკვე შეამცირა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. **ალექსანდრე ჯეჯელავას** განცხადებით, როგორც ყველა სამინისტროში, განათლების სამინისტროშიც შემცირდა ანაზღაურების ფონდი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

„ჩვენ შემთხვევაში გადავწყვიტეთ საფუძვლიანად გადაგვეხედა სტრუქტურისთვის, რომელიც ახალ სტრატეგიაზე მორგებული ვერ იქნებოდა, რადგან ახალი სტრატეგია ახლა შეიქმნა. შესაბამისად, კონკრეტული განყოფილებები და მიმართულებებიც კი დავხურეთ, მაგრამ ზოგი სხვა მიმართულებით კადრებს ვამატებთ.

მაგალითად, რესურსცენტრებს ვაძლიერებთ, უფრო მეტი თანამშრომლები ეყოლებათ რესურცენტრებს განათლების მიმართულებით და ნაკლები თანამშრომლები ეყოლებათ იურიდიულის და აუდიტის მიმართულებით. 10% არის შემცირება ხარჯებში, ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 10-11%-ია, თუ არ ვცდები“, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

თავდაცვის უწყების ბიუჯეტის 67% ხელფასებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებზე მოდის, ცვლილებების შემდეგ კი ეს პროცენტული მაჩვენებელი შემცირდება. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის **ვლადიმერ ჩაჩიბაიას** განცხადებით, გამოთავისუფლებული სახსრები სამხედრო პოტენციალის ამაღლებას მოხმარდება.

მისი თქმით, რეფორმის უმთავრეს მიზანს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების დონის ამაღლება წარმოადგენს და ოპტიმიზაცია სამხედრო მოსამსახურეების რიცხოვნობაზე არ აისახება. მისივე განცხადებით, ძირითადად, რეორგანიზაციის ფარგლებში ოპტიმიზაცია უწყებაში სამოქალაქო პერსონალს შეეხება.

მიმდინარე ოპტიმიზაციის ფარგლებში უკვე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავენ და ასეთია სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ ბატალიონის ყოფილი თანამშრომ-

◎ ზოგი ასე უბერავს...

ვინ გაიდა წლის პოლიტიკოსი?

„მეტრონომმა“ ექსპერტებში გამოკითხვა ჩაატარა

წლის ბოლოს, 2016 წლის ქართული პოლიტიკური ცხოვრების შეჯამება „მეტრონომმა“ ექსპერტებთან ერთად გადაწყვიტა. ექსპერტთა გამოკითხვით „მეტრონომმა“ დათვალა და შეაჯამა საბოლოო შედეგები, რომლითაც გამოვლინდა წლის პოზიტიური და ნეგატიური პოლიტიკოსი.

უპირველესად გავიხსენოთ თუ რა სახის პოლიტიკური მოვლენები მოხდა ამ წელს, რამაც ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ძვრები თუ არ მოჰყვა, რაღაცით მაინც თავი დაამახსოვრა საზოგადოებას.

ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები; საკონსტიტუციო უმრავლესობით „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა; გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური სახეები, რომლებმაც საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უკვე დაიმკვიდრეს; არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო პოლიტიკური პარტიების ნაწილი საერთოდ დაიშალა და მათმა ლიდერებმა პოლიტიკაზე უარი თქვეს. „მეტრონომმა“ გამოარჩია ისეთი პოლიტიკური ფიგურები, რომლებმაც საზოგადოებაში, წლის განმავლობაში, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასოციაცია გამოიწვიეს:

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი – წლის განმავლობაში მან თავისი პრინციპულობა მკვეთრად გამოავლინა; ანალიტიკოსთა ნაწილი ელის, რომ ის მესამე პოლიტიკურ ძალას შექმნის;

ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარე გახდა და ამ პოსტზე დავით უსუფაშვილი შეცვალა. ექსპერტთა შეფასებით, საკმაოდ მცირე დროში სწრაფი ტემპით განვითარდა;

გიგა ბოკერია – მის სახელთან „ნაციონალური მოძრაობის „ ორად გაყოფა ასოცირდება;

გიორგი კვირიკაშვილი – პრემიერი, რომელიც ექსპერტთა შეფასებით 2016 წელს რაციონალურად მოქმედებდა; თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მისი პრემიერობის დროს ლარი რეკორდულად გაუფასურდა.

ირმა ინაშვილი – „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც პარტია პარლამენტში შეიყვანა;

პაატა ბურჭულაძე – პერსონა სცენიდან, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში დიდი მღელვარება გამოიწვია და საბოლოოდ, ისევ სცენას დაუბრუნდა;

დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, ირაკლი ალასანია, – პოლიტიკოსები, რომელთაც მოულოდნელად დატოვეს ქართული პოლიტიკა და ამომრჩეველთა ნაწილს იმედები გაუცრუეს;

თუ ვინ გამოირჩეოდა აქტიურობით, ლიდერობით, მიღწევებით, დამოუკიდებლობით და ვინ შეასრულა უარყოფითი თუ დადებითი (პოზიტივი, ნეგატივი) როლი ქართულ პოლიტიკაში, 2016 წელს, „მეტრონომის“ გამოკითხვაში პოლიტოლოგებმა კონკრეტული პერსონები დაასახელეს.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე: „უარყოფითის დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან გარდა ერთისა, ჩემთვის, პროფესიონალურ სიმპათიებს არავინ არ იწვევს. ეს არის **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი**. გასულ წელს თავისი თანამდებობის ადეკვატურად იქცეოდა. დანარჩენებიდან არავინ არ იყო თანამდებობის და მოთხოვნილებების ადეკვატური. შეიძლებოდა ირაკლი კობახიძეც დაგვესახელებინა, თუმცა მას არაფერი ისეთი გაუკეთებია. მასზე შეიძლება მომავალ წელს ვისაუბროთ, რადგან მან 2017 წელს უნდა დაამტკიცოს, თუ როგორი პოლიტიკოსია“.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი ბარჩილ გამზარდია: „დადებითში აუცილებლად სასჯელაღსრულების მინისტრს კახი კახიშვილს ვახსენებდი. იმიტომ, რომ ამ ადამიანმა საქმეზე კონცენტრირება და მაღალი შედეგები აჩვენა. რაც შეეხება უარყოფითს, დავასახელებ **პაატა ბურჭულაძეს,** რადგან მან მოკლე დროში მოახერხა ძალიან ბევრი პერსპექტივის ჩაკვლა არა ერთი პოლიტიკოსისთვის, რომელთაც შეეძლოთ, დღეს პარლამენტში ყოფილიყვნენ და საინტერესო პროცესებისთვის შეეწყოთ ხელი. ბურჭულაძემ ძალიან ცუდი ტონალობა და ელფერი შემოიტანა ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც ეს ისედაც არ აკლდა.“

იხ. 9 გვ.

მარშანია ვიცე-სპიკერისა და ვიცე-პრემიერის პოსტების შემოღებას ითხოვს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ადა მარშანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის შექმნას და პარლამენტის ვიცე-სპიკერატში სოხუმისა და ცხინვალისთვის კვოტის გამოყოფას ითხოვს.

– ეს საკითხი ყოველ მიზეზგარეშე უნდა განვიხილოთ. გვინდა, რომ საგარეო მიმართულების მსგავსად, დოკუმენტი მომზადებული იყოს სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებაზე. ასევე, ვიცე-პრემიერის თანამდებობის შემოღებას ვითხოვთ და ამ პროცესში ჩართული აფხაზეთის მთავრობა უნდა იყოს. აუცილებელია, პარლამენტში აფხაზეთიდან ვიცე-სპიკერი გაჩნდეს, რადგან საკანონმდებლო ორგანოდან, ჩვენივე ხელიდან სოხუმისა და ცხინვალის რეგიონი განვდევნეთ. ბოკერიას კარგად ახსოვს, როგორ მოხდა ის, რომ პარლამენტიდან მთელი დელეგაცია იქნა განდევნილი, – განაცხადა მარშანიამ.

იუსტიციის მინისტრის მოადგილედ გიორგი პატარიძე დაინიშნა

საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს ახალი მოადგილე ყავს.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ბრძანების საფუძველზე, ამ თანამდებობაზე გიორგი პატარიძე დაინიშნა. ბრძანება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. გიორგი პატარიძემ აღნიშნულ თანამდებობაზე ალეკო ტაბატაძე შეცვალა.

თანამშრომელს, ვიდრე ჭირდებოდათ?

ლები. როგორც შოთა მათითაიშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 21 დეკემბერს, დაახლოებით 100 თანამშრომლამდე გაუშვეს მარტო აღმოსავლეთ ბატალიონიდან, ხოლო დასავლეთ ბატალიონში 40 თანამშრომელი გაათავისუფლეს.

ანალიტიკოსები ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე საუბრობენ, მაგრამ არა შტატების შემცირების და თანამშრომელთა გათავისუფლების, არამედ ადმინისტრაციულ ტექნიკური ხარჯების შეკვეცის ხარჯზე. როგორც ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, ამ სფეხურისთვის საუკეთესო ვარიანტია სასჯელაღსრულებისა და ევროინტეგრაციის სამინისტროების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

„უმჯობესია, რომ არ დაზარალდნენ ადამიანები. რაც შეეხება ოპტიმიზაციას, ჯერ უნდა შეიცვალოს უწყების მუშაობის კონცეფცია, კონცეფცია უნდა აიგოს ისე, რომ იგივე, ან უკეთესი შედეგი იქნას მიღებული ნაკლები ძალისხმევით და ამის ხარჯზე მოხდეს კადრების შემცირება. თუ მუშაობის კონცეფცია ისეთივეა, როგორც ადრე იყო, იქ, რა თქმა უნდა, კადრების შემცირება თუნდაც საქმის გამო არ შეიძლება იმიტომ, რომ ამით საქმეს დაუშავდება.

აქ არის ერთი ნიუანსი – რატომ არ შეიძლება კადრების შემცირება ამ პირობებში. იმიტომ, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ადამიანთა დასაქმების დიდი რესურსი კერძო სექტორში და ამ ფონზე, უკვე პრობლემა არ არის კადრების შემცირება და რადგან ასეთი რესურსი კერძო სექტორში არ გვაქვს, ბუნებრივია, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, რომ ქამრების მოჭერა მოხდეს არა ადამიანების ხარჯზე, არამედ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების კუთხით“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** ფიქრობს, რომ 10%-იანი შემცირება არა ბიუჯეტის, არამედ თანამშრომლების ხარჯზე, ნაადრევი და უფრო ემოციური გადაწყვეტილება იყო ვიდრე გონივრული ნაბიჯი. მისი თქმით, ასეთი მიდგომა ხანგრძლივი დავიდარაბის წინაპირობაა. რადგან, არსებობს სასამართლო, სამსახურიდან დათხოვნილთა დიდი რაოდენობა, როგორც ჩაგრულნი მიმართავენ სწორედ სასამართლოს.

„ყველაზე უხერხულ მდომარეობაში ჩადგებიან ის მინისტრები, რომლებიც სახლში გაძევებული პირების ხარჯზე აპირებენ ბიუჯეტის 10%-იან შემცირებას. იმ სტრუქტურებში, სადაც ხელფასის გარდა არსებობს დანამატი და პრემია, ვინმეს სახლში გაგდება, რბილად, რომ ვთქვათ არცთუ ჰუმანური ქმედებაა.

მოხარული ვარ, რომ ჩვენს მთავრობაში არიან ადამიანები და ასეთი აღმოჩნდნენ სასჯელაღსრულების და ევროინტეგრაციის მინისტრები, რომლებიც თვლიან, რომ შესაძლებელია საბიუჯეტო ხარჯების შემცირება ისე, რომ არ მოხდეს თანამშრომლების ტოტალური განდევნა, რაც, ვიმეორებ, ხანგრძლივი დავიდარაბის საფუძველი იქნება. თუკი რაიმეს შემფასებელი შეიძლება იყოს ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ დღევანდელი მინისტრების მოქმედების გამოცდა“, –აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** განმარტებით, ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რა იგულისხმება კადრების ოპტიმიზაციაში. მისი თქმით, თვითონ სახელწოდებიდან გამომდინარე, კადრები გულისხმობს ადამიანურ რესურსს, ოპტიმიზაცია კი – თანამშრომელთა ოპტიმალურ რაოდენობამდე მიყვანას.

„ის განცხადებები, რაც ჩვენ გვესმის ცალკეული მინისტრების მხრიდან (მაგალითად, განათლების მინისტრმა დაანონსა 250 თანამშრომლის განთავისუფლება, მეორე მინისტრი ამბობს, რომ ეს არ გულისხმობს კადრების გაშვებას), ცოტა არ იყოს გაუგებრობას წარმოქმნის. სასურველი იქნება, რომ მთავრობის წვერებმა ერთიანი პოზიცია ჩამოაყალიბონ, თუ რას გულისხმობს კადარების ოპტიმიზაცია. რეალურად, რაც ინფორმაცია მე მომდის, ეს პროცესი თავის თავში მოიცავს სამსახურიდან გარკვეული რაოდენობის ადამიანების გათავისუფლების“, – ამბობს ზაალ ანჯაფარიძე.

მისი თქმით, ამ პროცესში ჩნდება კითხვა – რატომ გახდა კადრების ოპტიმიზაცია საჭირო ახლა, როდესაც ამის გაკეთება შესაძლებელი იყო ?

„თუ ისევ და ისევ მინისტრების განცხადებებს დავეყრდნობით, ისინი ამბობენ, რომ რაღაც კონკრეტულ უწყებებში არის გაბერილი შტატები. მაშინ ისმის კითხვა – ვისი პასუხისმგებლობაა, როდესაც სამსახურში მიიღო იმაზე უფრო მეტი თანამშრომელი, ვიდრე საჭირო იყო? ეს არის კითხვები, რაზედაც ჯერჯერობით ვერ ვიღებთ ადეკვატურ პასუხს.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი გარკვეულ სოციალურ დაძაბულობას აუცილებლად შექმნის. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით დასაქმების კუთხით ქვეყანაში საქმე კარგად არ გვაქვს. ბუნებრივია, ეს ადამიანები შეავსებენ უმუშევართა არმიას, ხელისუფლება როდის აამუშავებს თავის პროგრამას, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ მოხდეს მოქალაქეების პროფესიონალური გადამზადება, რომ მათ უკეთ იპოვონ თავიანთი თავი შრომის ბაზარზე, ეს სავარაუდოდ, მომავალ წელს ვერ მოხდება, შესაბამისად, სოციალური დაძაბულობის ფონი გაიზრდება“, – აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

თამთა ქარჩავა

ისტორიული პროექტები, ხალხის კეთილდღეობა და... სამორინეების იმედზე დარჩენილი ქალაქის ბიუჯეტი

დავით ნარმანიამ მთავრობის სხდომაზე 2016 წელი შეაჯამა

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მთავრობის სხდომაზე 2016 წელი შეაჯამა და განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებზე ისაუბრა.

დავით ნარმანიას განცხადებით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური პროექტი იყო – „ახალი ტფილისი“ რომლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 2016 წელს დაიწყო და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდა.

„მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით და პროექტი 2017 წელსაც გაგრძელდება – „ახალი ტფილისის“ მეორე ეტაპი ორბელიანისა და გუდიაშვილის მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციას მოიცავს, ასევე, დაწყებულია ნარიყალას ციხე-სიმაგრის რესტავრაცია, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ისტორიული ბაღების ერთმანეთთან დაკავშირება, ასე რომ, „ახალი ტფილისის“ მეორე ეტაპი ერთ-ერთი მასშტაბური, ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული პროექტი იქნება ჩვენი ქალაქისათვის, რომელიც 2017 წელს განხორციელდება“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, დიდი პროექტებიდან აღსანიშნავია კრწანისი-შინდისის სრულიად ახალი გზა, ასევე, პუშკინის ესტაკადა, სამება-მახათას გზა. გარდა ამისა, დავით ნარმანიას განცხადებით, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალაქში არსებულ ხიდებს, რომლებიც წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იყო. მათ შორის, ბარათაშვილის ხიდს, გულიას და ა.შ. კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ქუჩებს, მათ შორის, ბარნოვის ქუჩას, ნუცუბიძეს, ბაგები-წყნეთის დამაკავშირებელ გზას და ა.შ.

„ტრანსპორტის ნაწილში, მოგეხსენებათ, რომ ქალაქში უკვე დადის ახალი ლურჯი ავტობუსები და 2017 წლის აპრილში, ჯამში 143 ერთეული მაღალი ხარისხის, ევროპული და ადაპტირებული ავტობუსი გვეყოლება. ქალაქის მასშტაბით დავამონტაჟეთ ავტობუსების ახალი მოსაცდელებიც. ამასთან, 2017 წელს ჩვენ გვექნება ახალი მუნიციპალური ავტობაზა, რომლის მშენებლობაც უკვე აქტიურ ფაზაშია შესული და რომელიც სრულყოფილ მომსახურებას გაუწევს მუნიციპალურ ავტობუსებს. მიმდინარე წელს ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობდით მეტროს ვაგონების მოდერნიზების კუთხითაც და 20 ვაგონის რემონტი და მოდერნიზაცია განვახორციელეთ. 2017 წელს იგეგმება დამატებით 30 ვაგონის შეკეთება. ეს ყველაფერი მეტროს, როგორც ქალაქისთვის ერთ-ერთი სტრატეგიული ტრანსპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს და ჩვენი თანამოქალაქეები კომფორტულად შეძლებენ გადაადგილებას ქალაქის მასშტაბით“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, აღდგა კუს ტბის საბაგირო გზა და 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მთაწმინდის საბაგირო გზის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება გამწვანებას, თბილისის მერის განცხადებით, მხოლოდ 2016 წელს დედაქალაქის ცენტრსა და შემოგარენში, ჯამში 180 000 ხე-მცენარე დაირგო, 2014 წლის აგვისტოდან დღემდე 650 000-მდე ხე-მცენარეა დარგული.

„ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულებაა, ასევე, სკოლამდელი აღზრდა-განათლების სფეროში გადადგმული ნაბიჯები. 2017 წელს თბილისის მასშტაბით 10-მდე ახალი ბაღის მშენებლობა დასრულდება, რომელთა ნაწილიც მიმდინარეა, ნაწილის კი უახლოეს ხანებში დაიწყება.

2017 წელს ახალი ბაღები გაიხსნება კრწანისში, ჩუღურეთის რაიონში, წყნეთში, სოფელ გლდანში, ვაშლიჯვარში, სამგორის რაიონში, თემქაზე, სოფელ დიღომში, სოფელ წინუბანში და საბურთალოზე. ამასთან, მომავალ წელს დედაქალაქში 8 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დაწყება იგეგმება : დიდუბეში, გლდანში, 2 ბაღის მშენებლობას დავიწყებთ დიდ დიღომში, 2 ბაღი აშენდება ნაძალადევში, ასევე, ახალი ბაღი აშენდება ჩუღურეთის რაიონში და საბურთალოზე. აღვადგინეთ დახურული ბაღები და გავხსენით ახალი ჯგუფები უკვე არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში, რამაც ბაღების ნაწილში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოგვცა“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება 2017 წელს საგზაო ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო-ნაგებობების კუთხით დაგეგმილ დიდ პროექტებს, თბილისის მერის თქმით, 2017-ში დედაქალაქის მასშტაბით, საგზაო სამუშაოები ჩატარდება 600-მდე მისამართზე, მათ შორის, ისეთი მნიშვნელობის გზებზე, როგორიცაა ავლაბრის მეტროდან ჯორჯ ბუშის ქუჩამდე არსებული მონაკვეთი, პეკინის ქუჩა, ფეიქრების ქუჩა და სხვ. დავით ნარმანიას თქმით, ლაგუნა ვერეს მიმდებარედ ჩატარდება გზის გაფართოების სამუშაოები, რაც თბილისში ხელს შეუწყობს აღნიშნული გადატვირთული მონაკვეთის განტვირთვას და მოძრაობის გამტარუნარიანობას გაზრდის.

გარდა ამისა, თბილისის მერის განცხადებით, გაგრძელდება საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-აღდგენა-რეკონსტრუქცია, რისთვისაც 2017 წელს 24 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება.

„ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობა, რომელსაც ჩვენ 2017 წელს ვგეგმავთ, ეს გახლავთ ვაშლიჯვრიდან გელოვანის გამზირზე ჩამომავალი ესტაკადის მშენებლობა, უმნიშვნელოვანესი პროექტი მიმდებარე გადატვირთული მონაკვეთების განმუხტვის მიზნით“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, 2017-ის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი იქნება, ასევე, რაგბის ახალი კომპლექსი, რომლის მშენებლობაც წელს დაიწყო. 4 ჰა ტერიტორიაზე ოთხი მოედანი განლაგდება. პროექტი 1000 გულშემატკივარზე გათვლილ ტრიბუნას ითვალისწინებს. კომპლექსი მასშტაბურია და 2017 წელს თბილისი უმასპინძლებს რაგბის მსოფლიო ახალგაზრდულ, 20 წლამდელთა თამაშების ერთ ნაწილს.

„პროექტების ბოლოს კი აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ საკრებულომ განიხილა და მიიღო ქვენორმატიული ცვლილებების პაკეტი, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივ გადასახადებსა და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს შეეხებოდა. შესაბამისად, 2017 წელს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან, შესაძლებელი იქნება დედაქალაქის ბიუჯეტში დამატებით 52,3 მლნ ლარის მობილიზება, რაც საშუალებას მოგვცემს ქალაქისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა განვახორციელოთ“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

◎ ხალხი მუდამ კრიტიკულია

მოთმინების ძალა მოგცეთ...

დრო მიდის, წლები კი გარბიანო, ნათქვამია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ჯერზეც ასეა – აგერ თითქოს ახლახან ვეგებებოდით ახალ, 2016 წელს და, აი, უკვე ვაცილებთ მას ყველა მოტანილი სიხარულითა და ტკივილით. ეს წელი, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს უახლოეს ისტორიაში, რადგან ოქტომბერში გამართული საპარლამენტო არჩევნები მთელი ოთხი წლით განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორს.

მაშ, როგორი იყო 2016 აღმოსავლური კალენდრით მაიმუნის და რას ველით 2017, მამლის წლისგან? – ამ კითხვით, ტრადიციულად, ჩვენს თანამოქალაქეებს მივმართეთ.

თამაზ მიქაძე, 46 წლის, ექიმი: – 2016 წლისა უკმაყოფილო არ ვარ, ღვთის მადლით, ოჯახშიც კარგად ვართ და ქვეყანაზე მეტ-ნაკლებად მშვიდობაა, მაგრამ ხალხს რომ ძალიან უჭირს, ეგაა პრობლემა. იმედი მაქვს, რომ გაისად მდგომარეობა უკეთესობისკენ წავა, თუმცა კი საამისოდ ბევრმა გარეშე ფაქტორმაც უნდა შეგვიწყოს ხელი.

ვაჟა თ., 58 წლის, ტაქსის მძღოლი: – რას გეტყვით, იცით, ჩემო ბატონო? თუ ასე გაგრძელდა, ყველანი უფსკრულში გადავიჩეხებით! ამდენი წელია, ტაქსზე ვმუშაობ, ქალაქში მოძრაობა ასეთი ძვირი იყოს და კლიენტის შოვნა ასე ჭირდეს, არ მახსოვს. არადა, რა გინდა ქნა, ხალხს პურის ფული არა აქვს და რა „ეტაქსება“? ახლა კიდევ საწვავზე აქციზი იმატებს, ესე იგი ბენზინიც გაძვირდება, ჩვენც უნდა გავაძვიროთ ტაქსი, აბა, სახლში ბავშვებს რა ვაჭამოთ? მერე ვინღა ჩაჯდება ტაქსში?

თამარ სხირტლაძე, 72 წლის, პედაგოგი: – რამდენი ხანია, აღარ ვმუშაობ, პენსიას მოვჩერებივართ მეც და ჩემი ოჯახიც. კიდევ კარგი, შვილი მუშაობს, თორემ რძალი სახლში ზის, სამ შვილს უვლის, მაგათ ჭამა ხომ უნდა? რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ პენსიას ერთი შეღავათი ისა აქვს, რომ დროზე მაინც გვაძლევენ, ესაა და ეს, თორემ რა ბარაქაც აქვს, თავადაც მოგეხსენებათ.

ციალა ტ.-შვილი, 32 წლის, გარემოვაჭრე: – საქმეა ეს, ჩემო კარგო? დღე და ღამე ქუჩაში ვარ, სიცხეა თუ სიცივე, ხან ქალის თუ კაცის თეთრეულს ვყიდი, ხან სპორტულ ჩასაცმელს, ხან რას და ხან რას. დღეში 7-8 ლარი თუ მრჩება ჩემდა წილად, მადლობელი ვარ, მარა ესაა ცხოვრება?! სულ რომ გვპირდებიან – მოგივლით, მოგხედავთ, სადაა ყველაფერი, გამაგებინეთ ერთი, ჟურნალისტები არა ხართ?

რამაზ ხარებავა, 26 წლის, უმუშევარი: – მე რა უნდა გითხრათ, ჩემო ბატონო, რაც ხდება ქვეყანაზე, ხომ ხედავთ? ისაა ზუსტად ჩემს თავსაც – ყველგან ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, ახლობელ-ნათესაობაა, უპატრონო კაცი არავის არ უნდა! სადაც მივედი, სამუშაო ვერსად ვერ ვიშოვე, ახლა კიდევ უცხოეთიდან ჩამოჰყავთ ვიღაც-ვიღაცები...

თამილა ზირაძიშვილი, 43 წლის, დიასახლისი: – მთავრობას თუ დავუჯერებთ, ყველაფერი კარგად იქნება და მდგომარეობა მალე გამოსწორდებაო, მაგრამ, რაც ჩემი თავი მახსოვს, ახალი წელი უკანას სჯობდეს, ჯერ არ მახსოვს. წლიდან წლამდე უკანუკან მივდივართ. რას აკეთებს ეს ჩვენი მთავრობა, ვერ გამიგია – ამოდენა ფინანსურ პირამიდებს რომ აბოგინებს ქვეყანაში და ხალხს ბოლო გროშებს რომ აკარგვინებს, ეს განა მოსათმენია? რას უყურებდა ამდენ ხან ეს ეროვნული ბანკის ნაციონალი ხელმძღვანელობა, ან ფინანსთა სამინისტროს მეცნიერე თავკაცობა? რა არის ეს – სიბრიყვე, უვიცობა თუ განზრახ ჩადენილი ბოროტება?

ლამზირა ჭკადუა, 60 წლის, პენსიონერი: – პენსიის მიღება სულ რამდენიმე თვეა დავიწყე და ცოტა მაინც ამოვისუნთქე, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, ამ საახალწლოდ მე და ჩემ ქმარს ეს „გაორებული“ პენსიები ჩვენთვისვე ძლივსძლივობით თუ გვეყოფა, მაგრამ, შვილიშვილებს რა ვუყოთ?

ვასილ გ-ლი, 45 წლის, ეკონომისტი: – ახლა რომ იძახის ქალაქის მერია – ადმინისტრაციულ ხარჯს 2017-ში 10 მილიონი ლარით შევამცირებ, შარშან სად იყვნენ ეს დალოცვილები? თანაც, დარწმუნებული ვარ, 2017 წელს ამ ხარჯს რომ შეამცირებენ, „მარაგში“ იმდენივე დარჩებათ, ან წლის მანძილზე ისე გაბერავენ ყველა ხარჯის მუხლს, ერთი მაგდენის „დაზოგვას“ 2018 წლისთვისაც შეძლებენ. ანდა, ყველა წვრილფეხა ჩინოვნიკს მანქანა რომ ემსახურება, ეგ განა საქმეა? ან დოლარს რას უპირებენ, ვერ ხედავენ, დაიქცა ქვეყანა?

თემურ ღ-ტი, 61 წლის, მშენებელი: – ვიდრე სამუშაო მქონდა, არაფერი მიჭირდა, ახლა გაძნელდა საქმე, მაგრამ, ქალაქთან ახლო სოფელი მაქვს, პატარა მეურნეობა ავაწყვე, თვიდან თვემდე მეც და ჩემს ოჯახსაც თავი იოლად გაგვაქვს. ისე კი, უკეთესის იმედი მაქვს, ბედნიერებას ვუსურვებ ყველა ოჯახს, ჯანმრთელობას!

ლაერტ აივაზოვი, 46 წლის, სამარშრუტო ტაქსების დისპეტჩერი: – დილა თენდება და... ტელევიზორის ჩართვა გვეშინია – აი, დოლარი ავარდა, აი, სიგარეტის, საწვავის აქციზები იმატებს, ეს კი, ძმაო-ჯან, ყველაფრის გაძვირებას გამოიწვევს. ამ ხნის კაცი ვარ, ბევრი გაძვირება მინახავს, გაიაფება კი ჯერ არასდროს არ ყოფილა. ამიტომ, სულ ტყუილია, რომ ამბობენ – კიდევ ცოტა ხანიც გაუძელით, მერე ყველაფერი კარგად იქნება. კარგად ისევ მათთვის ხდება, ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის, კარგი არაფერი იქნება. თორემ საახალწლოდ ბაზარში რომ წახვალ, ჩემი სიტყვები გაგახსენდება!

თამილა ჩ-ძე, 50 წლის, მეტროპოლიტენის მუშაკი: – ერთი ეგაა ჩემი შეღავათი, რადგან მეტროს სისტემაში ვმუშაობ, მგზავრობა უფასო მაქვს. ისე კი, სიმართლე გითხრათ, თუ კაცს სამუშაო აქვს, არა უშავს, შეიძლება ცხოვრება, მაგრამ, აი, ბაზარში დავდივარ და ვფიქრობ – ამ ფასებმა ასე მომატება თუ გააგრძელა, ხალხს რა ეშველება-მეთქი.

რამაზ ბ-ძე, 64 წლის, ინჟინერი: – რაც გინდა თქვი, ჩემო კარგო, სიდუხჭირე და სიგლახე ბევრია ქვეყანაზე, მაგრამ კაცმა მაინც გული არ უნდა გაიტეხოს და მომავალს იმედიანი თვალი უნდა გაუსწორო: ღმერთი მოწყალეა, მჯერა, დასაღუპად არ გაგვწირავს, მთავარია ჭირს მაგრად დავუდგეთ და ერთმანეთი ცოცხლად არ დავჭამოთ. მოთმინების ძალა მოგცეთ, ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

ბორბლებიან სავაჭრო ობიექტებს რეგულაციები დაუწესდებათ!

ე.წ. ბორბლებზე მყოფ სავაჭრო ობიექტებს, პარკირების ადგილზე რეგულაციები უწესდებათ, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა და აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში მსგავსი სავაჭრო ობიექტები მომრავლდა:

„ბოლო პერიოდში თბილისის ქუჩებში ნამდვილად მომრავლდა ე.წ. ბორბლებზე მყოფი სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ქუჩების იერ-სახეს აზიანებენ. აქამდე ამ კუთხით არანაირი შეზღუდვა არ იყო, ახალი წლის მერე აუცილებლად ამოქმედდება შეზღუდვა, მათ შეეძლებათ, იჯარით აიღონ სასურველი ტერიტორია და გააგრძელონ საქმიანობა, ისინი ახლა ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და არანაირ გადასახადს არ იხდიან, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს თემა აუცილებლად საჭიროებს მოწესრიგებას“, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

თბილისის №196 ბაღის რეკონსტრუქცია დასრულდა

სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის IV მ/რ-ში მდებარე №196 ბაღის ავარიულ ფლიგელს გამაგრება-აღდგენა-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. შენობის ეს ნაწილი წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო დარჩენილი.

გამაგრდა შენობის ავარიული ნაწილის საძირკველი, მოეწყო ბაღის შიდა სივრცე, გარემონტდა შენობის გარე ფასადი, გაკეთდა ღობე, შენობაზე დამონტაჟდა პანდუსი. სამუშაოების შედეგად ბაღს 4 ახალი ჯგუფი დაემატა. შესაბამისად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში დამატებით 150-მდე ბავშვი ჩაერთო. ბაღის გამაგრება-აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ღირებულებამ 464 000 ლარი შეადგენა.

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრარულ ბაზრებს ამოწმებს

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრარული ბაზრების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, სურსათის შენახვისა და რეალიზაციის პირობებს ამოწმებს.

სახელმწიფო კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და საკვებისმიერი ინტოქსიკაციის თავიდან აცილებას, რისი რისკიც სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებით მატულობს.

2016 წლის იანვრიდან დღემდე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა გეგმური ინსპექტირება საქართველოს 28 აგრარულ ბაზარში, არაგეგმურად შემოწმდა – 2, გადამოწმდა – 50. გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული მითითებები მიეცა ერთ აგრარულ ბაზარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ტექნიკური რეგლამენტი აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის პირობებს. რეგლამენტი მომზადდა მოსახლეობისთვის რისკების შემცირების მიზნით და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, რაც ითვალისწინებს მისთვის უვნებელი სურსათის მიწოდებას და ცხოველთა გადამდები ინფექციური დაავადებებისაგან დაცვას.

რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

თბილისელები დოჰაში მიემგზავრებიან...

Qatar Airways-ი თბილისსა და დოჰას შორის პირდაპირი ავიარეისების რაოდენობას ზრდის. ავიაკომპანია აღნიშნულ მიმართულებაზე კვირაში უკვე 4 სიხშირით დაფრინავს.

გარდა პირდაპირი ავიარეისებისა, Qatar Airways-ს თბილისიდან დოჰას მიმართულებით მგზავრები კვირაში 7 სიხშირით, ბაქოს გავლით გადაჰყავს. დოჰასა და თბილისს შორის მგზავრობის ხანგრძლივობა 3 საათია და Qatar Airways-ი რეისებს Airbus A320-ით ასრულებს.

რუსთავი პრობლემების პირისპირ

რუსთავი, საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭე, ქვეყნის ციხე-ბურჯი, არც თუ დიდი ხნის წინათ ამიერკავკასიის ლამის ერთადერთი მძლავრი მეტალურგიული და ქიმიური წარმოების ცენტრი იყო.

დღეს უკვე ხალიბთა მეოთხე თაობა მკვიდრობს აქ და განამტკიცებს სამშობლოს აღმოსავლეთის ჭიშკარს. თუმცა, აქაც მრავალი პრობლემაა, ბევრი სატკივარი, ჰოდა, რუსთაველთა განვლილ წელიწდეულზე, იმედიანი მომავლის შესახებ სასაუბროდ ვესტუმრეთ მუნიციპალური ქალაქის მერს დავით ჯიძიას.

– გასული წელი ფრიად მნიშვნელოვანი იყო როგორც ქვეყნისათვის, ასევე ჩვენი ქალაქისთვის. მთავარი საპარლამენტო არჩევნები იყო, რაც უჩვეულოდ დაძაბულად, მაგრამ დემოკრატიულად წარიმართა და „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეული გამარჯვებაც მოიპოვა. პირველად, ქალაქის ისტორიაში ორი პარლამენტარით წარვსდექით საკანონმდებლო ორგანოში.

რაც შეეხება რუსთავის ინფრასტრუქტურის განვითარებას, აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს. ამ მიზნით 17 მილიონი ლარი დაიხარჯა, აქ არ შედის 3 მილიონამდე თანხა, რომელიც დამატებით სხვადასხვა სამსახურების მიერ დაიხარჯა.



არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნო რუსთავის, კერძოდ, კოსტავას ქუჩის და მისი მიმდებარე უბნების რეკონსტრუქცია. წინა წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში მგზავრობისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყოველ მათგანში ისტორიული იერ-სახის მქონე ადგილების ნახვამ, რაც ჩემი ქალაქისთვის ფრიად მომხიბლავი მეჩვენა. მოგეხსენებათ, კოსტავაზე მდებარეობს რუსთავის ღირსშესანიშნავი ნაგებობები. ამდენად, აქ განვახორციელეთ მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები, რასაც 5 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა, შედეგიც ჩინებული გვაქვს. განახლდა შენობა-ნაგებობები, კეთილმოეწყო მთლიანად ქუჩა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი სიდიადით წარმოაჩინა რუსთავის პირველმშენებელთა მაღალი ოსტატობა, არქიტექტურა, მრავალფეროვანი ორნამენტული ხელოვნება, რაც უცხოელ ტურისტებსაც კი მიიზიდავს და მოხიბლავს. რა თქმა უნდა, არც სხვა უბნები დაგვრჩენია ყურადღების მიღმა, განახლდა კულტურისა და დასვენების პარკი, შეკეთდა ქუჩები, კეთილმოეწყო სკვერები, ეზოებში მოვაწყვეთ სპორტული მოედნები, დაიგო გზები.

ასე რომ, რეკონსტრუქციის შემდეგ ძველი ქალაქი სრულიად ახლებური მშვენიერებით წარმოჩინდა. ასეც არის, რაზეც პირადად დავრწმუნდი კოსტავას ქუჩაზე გავლისას, თვითონაც ვიცი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, ძველი რუსთავის ადგილზე მართლაც რომ სათუთად მოვლილი, განახლებული და გაცოცხლებულია, მაგრამ...

– ბატონო დავით, ამ ორიოდე წლის წინათ, თქვენ აღიარეთ, რომ სკოლას 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს, ათასამდე რუსთაველი – უმაღლეს სასწავლებლებს, და რომ, მათი დასაქმების არავითარი პირობები არ არსებობსო, მე ამ პრობლემას განსაკუთრებით ვადევნებ თვალყურს, სამწუხაროდ, მდგომარეობა არ იცვლება, არადა, მომავალშიც ასე თუ გაგრძელდა, რუსთავს, როგორც ქართულ ქალაქს დიდი საფრთხე შეექმნება.

– რა თქმა უნა, ეს მტკივნეულია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი ქალაქისთვის, ადამიანთა დასაქმება დიდ ძალისხმევას, ახალი რეზერვების ამოქმედებას საჭიროებს. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ მცირე საწარმოები, კარგი საქმე კეთდება აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობით, სადაც ძირითადად გამოყენებული იქნება რუსთავში დამზადებული ლითონკონსტრუქციები, რკინა-ბეტონის ნაკეთობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში 15 სხვადასხვა მცირე საწარმოც ამოქმედდა, თუმცა საზრუნავ-გასაკეთებელი ბევრად მეტია, მითუმეტეს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, რომლის ბაზაზე აშენდა ქალაქი, ახლახან კიდევ მასშტაბური შემცირება მოხდა, ათასზე მეტი ადამიანი დაგვიტოვეს უმუშევარი, რაც მეტად მტკივნეულია, შექმნილი ვითარება გვკარნახობს, ახლო მომავალში ახალ-ახალი საწარმოები შევქმნათ, სადაც მრავალ რუსთაველს ექნება შესაბამისი სამუშაო. ჩვენ ხომ პროფესიონალი, კვალიფიციური სპეციალისტების მთელი არმია გვყავს, ის ოთხი ათასიანელებიც, სკოლები რომ დაამთავრეს და ამთავრებენ, რომ დავასაქმოთ და ქალაქს ჰქონდეს უკეთესი მომავალი. საამისოდ დიდი ძალისხმევა გვმართებს.

– ბუნებრივია, ამ გლობალურ პრობლემას მარტო ადგილობრივი მმართველობა ვერ მოაგვარებს, ქალაქს, თავის დროზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა აშენებდა, ბოლო დრომდე 45 სამრეწველო საწარმო გუგუნებდა, აქედან 16 – საკავშირო დანიშნულების, ანუ ზემძლავრი ქარხნები, სადაც 90 ათასი ადამიანი, უმაღლესი პროფესიონალი იღვწოდა, რუსთავული პროდუქცია საზღვარგარეთის 18 ქვეყანაში გადიოდა, ასე რომ, მის გაძლიერებაში ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლად ბევრი ვერაფერი გაკეთდება. მე მიყურადებული ვარ ჩვენს მთავრობას. სამწუხაროდ, არა თუ მაღალი ხელისუფლების წარმომადგენლები, თვით გიორგი კვირიკაშვილი, არა თუ არ ჩამოსულან და დაინტერესებულან არსებული პრობლემებით, თვით რუსთავის სახელიც კი არ დაცდენიათ. იმედია, ახალ სამთავრობო პროგრამაში ხელისუფლება რუსთავს არ მიაყურისძირებს.

– თქვენი გულისტკივილი გასაგებია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს გლობალური პრობლემები ოპერატიულად გადაწყდეს.

– თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ ქალაქის გამწვანებას, ბუნებრივია, ნახევრადუდაბნო ზოლში ვცხოვრობთ, მეტი სიმწვანე მწვანე ფილტვები, მეტი ჟანგბადი გვჭირდება.

– დიახ, ადგილმდებარეობის, კლიმატის გათვალისწინებით ვმოქმედებთ, წელს დავრგეთ 3 ათასი ძირი ხე, და, მოგეხსენებათ, აქ მარილიანი მიწა-ნიადაგია და ექსპერტები მხოლოდ 30 პროცენტის გახარებას ვარაუდობდნენ, სინამდვილეში 90 პროცენტი ვახარეთ. ახლახან კიდევ დამატებით 1000 ძირი ნაძვიც დავრგეთ. კეთილმოწყობის სამსახური აქტიურად მუშაობს. სპეციალური ბრიგადებია საგანგებოდ გამოყოფილი. ვცდილობთ მომავალში ბევრად მეტი ხე და ბუჩქი დავრგოთ, მცენარეებით შევავსოთ ხეივნები, სკვერები, გაზონები ყვავილებით გავალამაზოთ, მთლიანად ქალაქის სხვადასხვა ადგილებში 20 ჰექტარიც გავამწვანოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს სიამოვნებდეთ, და არა მარტო მათ, მწვანე რუსთავის ხილვა.

– ბატონო დავით, წელი ისე მიიწურა, რუსთავში დიდი რუსთაველის იუბილეც ვერ აღვნიშნეთ... მეტის გაკეთება გვმართებდა. მესხეთის რუსთავში დაბადებული გენიოსით, ვინ ვინ და ჩვენ, დღევანდელმა რუსთაველებმა განსაკუთრებით უნდა ვიამაყოთ...

– მართალს ბრძანებთ, მომავალი წლის გაზაფხულიდან აუცილებლად დავამკვიდრებთ „რუსთაველის დღე პოეზიის დღეს“. ჩვენს ქალაქს ნამდვილად აქვს საამაყო, ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ხომ გაგიგონიათ...

ესაუბრა
გივი ჯახუა

მის ხმაში მთის სიდიადე იგრძნობოდა

პროფესორი ევგენი რიადნოვი კონცერტისთვის ამეცადინებდა თავის სტუდენტებს. უცებ სტუდიის კარი გაიღო და ვანო სარაჯიშვილი შემოიჭრა, აღელვებულმა იკითხა: ვინ მღეროდა? მე გახლდით ბატონო ვანო. – შიშის ჟრუანტელმა დაუარა და დარცხვენით უპასუხა ნიკო ქუმსიაშვილმა. „რა ღმერთი გამიწყრა, რაღა ახლა ვმღეროდი, როცა ვანო აქ ყოფილაო“, – გაიფიქრა თავისთვის. ვანომ ნიკოს მკერდზე ხელი დაჰკრა და უთხრა: – შენ იმღერებ სცენაზე, უსათუოდ იმღერებ. ხვალ ჩემთან მოდი ბინაზე, გელოდები!

ნიკო სიხარულით ცას ეწია. ღამე ვეღარ დაიძინა. მეორე დღეს ქართველი ორფეოსის ბინამდე ფეხები ძლივს მიიტანა. ვანომ სახლში შეიპატიჟა, ვინაობა გამოჰკითხა. შემდეგ ფორტეპიანოს მიუჯდა. აბესალომის არიის უკანასკნელი ბგერა „ვაი“ კიდევ ციაგობდა, რომ ვანო მოუთმენლად ზეზე წამოვარდა და აღფრთოვანებულმა შესძახა: - ასეთი ხმითა და ჩემი ოსტატობით მთელ მსოფლიოს დაიპყრობდა ადამიანი.

ისწავლე ფშაველო, ისწავლე, ჩვენს ქვეყანას მომღერლები სჭირდება.

ნიკომ მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა. სახლში როგორ მივიდა აღარ ახსოვდა. ვანოს გამამხნევებელი სიტყვები გულში სამუდამოდ ჩარჩა. ამ ამბავს ხშირად იგონებდა. ეამაყებოდა, რომ სწორედ ქართული ვოკალური ხელოვნების ქურუმმა ვანო სარაჯიშვილმა ს დაულოცა სამომავლო გზა.

სამწუხაროდ, 1924 წლის ნოემბერში სრულიად ახალგაზრდა ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა. საზოგადოება წუხდა ქართული ოპერების და საოპერო რეპერტუარის ბედზე, თითქოს არანაირი ნიშნები არ ჩანდა ვანოს მონაცვლის გამოჩენისა, მაგრამ ქართული ოპერის ბედი ჯერ კიდევ მთლად არ გადაწყვეტილიყო... და აი, ვანოს დაკრძალვიდან ათი დღის შემდეგ ისევ დაიდგა „დაისი“, სადაც მალხაზის პარტიას ასრულებდა ნიკო ქუმსიაშვილი. და, საზოგადოებაში იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, იმედი იმისა, რომ საქართველოში არასოდეს მოკვდება ქართული საოპერო ხელოვნება. ნიკო ქუმსიაშვილმა ღირსეულად და წარმატებით განაგრძო თავისი დიდი წინამორბედის მიერ შექმნილი სასიმღერო ტრადიციები. ამ მოვლენას ლადო სულაბერიძემ ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

„არ იყო ვანო, ქართლის ბულბული,
მასზე ლეგენდა მითხრეს ძველებმა,
და ჩემს თაობას შენ უგალობე,
სარაჯიშვილის ხმის გაგრძელებავ...“

ნიკო ქუმსიაშვილი თიანეთის რაიონის სოფელ ორხევში დაიბადა 1892 წელს. მამამისი მეცხვარე იყო, მას პატარა ნიკო ხშირად დაჰყავდა ცხვარში. ნიკომ ჯერ თიანეთის სამრევლო სკოლა დაამთავრა, ხოლო შემდეგ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაც და ბოლოს სწავლა განაგრძო ყირიმში მელვინეობისა და მებაღეობის სასწავლებელში. კურსის დასრულების შემდეგ ნიკომ იმოგზაურა საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში, სადაც სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ საკითხებს დაეუფლა. ამის შემდეგ იგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

ნიკო ქუმსიაშვილს სიჭაბუკეშივე აღმოაჩნდა მეტად ძლიერი და ლამაზი ტემბრის ხმა. მონაწილეობდა სასკოლო გუნდებში, შემდეგ კი მიხეილ კავსაძის გუნდშიც მღეროდა. საზოგადო მოღვაწეობით გართული ნიკო სრულებით არ ფიქრობდა პროფესიონალურ მომღერლობაზე, ის შემთხვევა, რომ არა, როდესაც მისმა ახლო მეგობარმა, მწერალმა დავით თურდოსპირელმა 1920 წელს ძალით შეიყვანა კონსერვატორიაში ზაქარია ფალიაშვილთან. ფალიაშვილმა მაშინვე მიუწერა ბარათი პროფესორ ევგენი რიადნოვთან, რომელმაც სიამოვნებით ჩარიცხა ნიკო თავის კლასში და განუზომელი ამაგი დასდო მის დაოსტატებას. არსებითად რიადნოვმა შეიყვანა უნიკალური ხმით დაჯილდოებული ფშაველი ახალგაზრდა მუსიკალური სამყაროს ლაბირინთებში. მასთან იპოვა ნიკომ ისეთი გასაღები, რომლითაც ფართოდ შეაღო კარი დასავლეთ ევროპული, ქართული და რუსული საოპერო ხელოვნების თვალუწვდენელ წიაღში. ქუმსიაშვილმა სტუდენტობიდანვე გამოიჩინა თავი როგორც ვაგნერის ურთულესი მუსიკის შესანიშნავმა შემსრულებელმა, წარმატებით მღეროდა ლოენგრინის, ზიგფრიდის, ზიგმუნდის პარტიებს, რაც მეტყველებს მის იშვიათ სახმო მასალზე.

მისი ფართო დიაპაზონის შემცველი ხასიათი ხმა თავისუფლად ჟღერდა ყველა რეგისტრში. ზედმიწევნით განვითარებული სუნთქვის წყალობით, მჭექარე მაღლებთან ერთად, მას იოლად ეხერხებოდა ხმის ფილირება, პიანო და პიანისიმოც. ეს თვისებები საშუალებას აძლევდნენ მას უშიშრად გამოსულიყო, როგორც წმინდა დრამატულ, ისე ლირიკო-დრამატული ხასიათის პარტიებში. ერთი სიტყვით, პროფესორ რიადნოვის მზრუნველი და მკაცრი ხელმძღვანელობით ქუმსიაშვილმა განვლო მყარი პროფესიული სკოლა. ყოველმხრივ გაწვრთნილი სამომღერლო აპარატის წყალობით მთელი ცხოვრების მანძილზე მაქსიმალური დატვირთვით მღეროდა.

ნიკო ქუმსიაშვილი იგონებს: „არასოდეს დამავიწყდება 26 ნოემბრის ის სუსხიანი საღამო, ჩემი პირველი გამოსვლა მალხაზის როლში. ვმღეროდი გატაცებით, თავდავიწყებით. ვმღეროდი და ვფიქრობდი იმ დაკარგულ სიმღერაზე ვანომ რომ ჩაიყოლა სამარეში. სპექტაკლის შემდეგ მხოლოდ მხცოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის მოლოცვა და ამბორი დამამახსოვრდა. ის იყო ჩემი პირველი მახარობელი. ათრთოლებული იდგა ჩემს წინაშე და თვალცრემლიანი მეუბნებოდა: „შენა ხარ ვანოს ჭეშმარიტი მემკვიდრე. გზას დაგილოცავ, ჩემო ნიკო!“

ქალაქ პუშკინოდან ქართველი სტუდენტების მიერ გამოგზავნილ მისალოც ლექსში ვკითხულობთ:

„ვანო მომკვდარა, ბულბული სტვენდა,
რომ საქართველომ დაჰკარგა შვილი, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრეობას აგრძელებს ნიკო ქუმსიაშვილი“.

მართლაც, ნიკომ, ისე როგორც არავის, ვანოს შემდეგ მიაგნო ქართული სიმღერის, ქართული მელოდიის განსაკუთრებული ხასიათი და თვისებები. სულ მოკლე ხანში იგი დიდი წარმატებით მღერის აბესალომს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. შემდგომში ნიკომ ოცამდე ქართულ ოპერაში მიიღო მონაწილეობა, რითაც ხელი შეუწყო მათდამი ფართო საზოგადოების ყურადღების წარმოჩენას.

ცნობილი ბარიტონი დავით გამრეკელი თავის მოგონებებში აღნიშნავს: **„რაგინდ ძლიერი და ბრწყინვალე არ უნდა ყოფილიყო ვოკალური ოსტატობის მხრივ, ნიკოს გამოსვლები, რუსულ და უცხოურ ოპერებში, მათი შედარება ქართულ საოპერო გმირთა შესრულებასთან არ შეიძლებოდა.** რომ მის ხმას არასოდეს უგრძვნია დაღლა-დაუძლურებაო, უზარმაზარი ენერგიის, ფართო დიაპაზონის და იშვიათი სილამაზის ხმის პატრონი, ლამის ყოველ საღამოს ეძლეოდა შემოქმედებით ვნებათაღელვას, ზედიზედ მღეროდა ურთულეს საოპერო სპექტაკლებს. თავს არ ზოგავდა, სასიმღეროდ მუდამ მზად იყო. რათა წარმოდგენა ჩავარდნისგან ეხსნა, ხშირად ავადმყოფიც კი გამოსულა სცენაზე. საოპერო ხელოვნების სპეციფიკურობაში ჩახედული კაცი ალბათ დამეთანხმება – სასიმღერო ხმის ასე უანგარიშოდ ხარჯვა-გაცემა, ადამიანის ყველაზე ფაქიზი ორგანიზმის, ყელის ასეთი გადატვირთვა, ვოკალისტის მხრიდან ნამდვილი გმირობის ტოლფასია.

1932-33 წლის სეზონში სანდრო ინაშვილთან ერთად ნიკო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამოდიოდა. აქ მან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ ბრწყინვალე გამოსვლით. იგი არა ერთხელ გამოვიდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საოპერო სცენებზეც.

ქუმსიაშვილის საესტრადო რეპერტუარი ამოუწურავი იყო. მას ერთმანეთის მიყოლებით შეეძლო, მიეცა რამდენიმე დამოუკიდებელი კონცერტი ისე, რომ შესრულებული ნაწარმოებები არ გაემეორებინა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი და ეპოქალურია 1937 წლის დასაწყისი არა მარტო ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედებაში, არამედ ჩვენი საოპერო ხელოვნების სახელოვან ისტორიაშიც. ეს იყო ქართული ხელოვნების დეკადის დღეები მოსკოვში, სადაც ჩვენს ხელოვნებას უჩვეულო ტრიუმფი ხვდა წილად. აქ ნიკომ დიდი წარმატებით იმღერა მალხაზის პარტია ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“; აბესალომი „აბესალომ და ეთერში“, ხოლო შემდეგ – თანდარუხიც; მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერში“ კი – ნიკო. ეს როლები მას, როგორც იტყვიან ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელ თავის ენერგიას არ იშურებდა მთავარი პარტიების დახვეწისა და გალამაზებისათვის.

ქართული მუსიკის დეკადა შესანიშნავად დაგვირგვინდა მოსკოვში. ნიკო შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ცნობილმა ხელოვანებმა და მუსიკოსებმა არაერთი ეპითეტით შეამკეს მისი გამოსვლა: **„ბუნებით მდიდარი ვოკალური მონაცემების მომღერალი“, „მას შესანიშნავი სკოლა აქვს გავლილი“, „იგი მეტად თავისუფლად და ლამაზად მღერის, იოლად სძლევს ესოდენ რთულ სასიმღერო მასალას“** და სხვა... 1941 წელს ქუმსიაშვილს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ნიკო ქუმსიაშვილი არ იყო მხოლოდ თავისი საქმიანობითა და მიღწევებით, პირადი წარმატებითა და სახელით დაინტერესებული. მას მთელი არსებით უყვარდა თეატრი, ნიადაგ ზრუნავდა მისი კეთილდღეობისათვის, თეატრის წარმატება ახარებდა, ხოლო მისი ჭირ-ვარამი აწუხებდა. მისი ღია და გულწრფელი გამოსვლები თეატრის საერთო თუ სამხატვრო საბჭოს კრებებზე, თათბირებსა თუ საზეიმო სხდომებზე თეატრის წარმატებისა და რეპერტუარის მრავალფეროვნებისაკენ იყო მიმართული. თავისი გადამეტებული პირდაპირობით იგი ხშირად იმსახურებდა ადმინისტრაციისა და შეიძლება, ზოგიერთი მეგობრისა და კოლეგის გულისწყრომას, მაგრამ ამას იგი არ ერიდებოდა. არ ერიდებოდა იმიტომაც, რომ მისი მოთხოვნა

„ვანო მომკვდარა, ბულბული სტვენდა, რომ საქართველომ დაჰკარგა შვილი, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრეობას აგრძელებს ნიკო ქუმსიაშვილი“.

არასოდეს არ გამომდინარეობდა პირადი ინტერესებიდან. თვითონ ყოველთვის მინიმუმით კმაყოფილდებოდა, ოღონდ საერთო საქმე წაეწია წინ, მთის სპეტაკი ბუნების წიაღში დაბადებული და აღზრდილისთვის უცხო იყო ყოველი არაგულწრფელი დამოკიდებულება. იგი უსამართლობას ვერ იტანდა და ყველას, მიუხედავად რანგისა და ცენზისა, პირდაპირ ეუბნებოდა სიმართლეს. ღრმად ჰქონდა გამჯდარი ტრადიციული წეს-ჩვეულებები. დიდხანს ატარებდა ქამარ-ხანჯლით შემკულ ჩოხას და ასევე გამოდიოდა კონცერტებზეც. ადამიანებთან ურთიერთობაში სხვისი ვარდი ვარდად მიაჩნდა და არასოდეს ეკლად არ ესობოდა თვალში.

ნიკოს ერთი დიდად დასაფასებელი, ფრიად საინტერესო პირადი თვისება ჰქონდა, ერთი შეხედვით ბრგე და უხეში გარეგნობის კაცი, სიმღერის დაწყების უმალ ულამაზეს ვაჟკაცად გვევლინებოდა. ეს კი სწორედ ის გახლავთ, რასაც მსახიობის თანდაყოლილი მომხიბვლელობა და ეშხი ჰქვია, რომლის შეძენა უბრალოდ შეუძლებელია.

ეს კრისტალურად სუფთა სულის ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე მშობლიური კუთხის, პატარა ერწო-თიანეთის გულშემატკივარი და მფარველი იყო. მას არა ერთხელ მიუმართავს ქვეყნის ხელმძღვანელებისათვის რაიონის მოსახლეობის დასახმარებლად.

ძალზე დასანანია, რომ უკურნებელი სენის მიზეზით ნიკო ქუმსიაშვილი ნაადრევად წავიდა ჩვენგან. იგი 1942 წელს გარდაიცვალა 50 წლის ასაკში. მისივე სურვილით დაკრძალულია მშობლიური თიანეთის სოფელ ორხევში. მიუხედავად ხანმოკლე სასიმღერო მოღვაწეობისა, თავისი გასაოცარი ნიჭიერებით მან ქართულ ვოკალურ ხელოვნებაში მყარად დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი.

გელა ქოქიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ვეძებთ სიმართლეს!..

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО

GEORGIAN GENEALOGICAL SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34 E-mail: iurichikovani@gmail.com

„ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის იური ჩიქოვანის

განცხადებები

ა.წ. აპრილში გამოვიდა წიგნი „ბაგრატიონები – სამეფო ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები კახა ქორიძე და იოსებ ბიჭიკაშვილი. წიგნის 251-ე და 252-ე გვერდებზე განთავსებულია ორფურცლიანი, ერთი ფაქტის დამადასტურებელი, დოკუმენტი №5, 20.01.2015 წ.

ერთ ფურცელზე დატანილია ცნობა, რომლის თანახმადაც, თითქოსდა გრიგოლ მალანია ნამდვილად არის გიორგი XII-ს შთამომავალი ქალის ხაზით. მეორე ფურცელზე კი მოცემულია ამ ფაქტის დამადასტურებელი გენეალოგიური ფრაგმენტი. ორივეგან ფაქტი დამოწმებულია ჩემი ხელმოწერით და საზოგადოების ბეჭდით.

ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, როდესაც ჩემს ხელთ აღმოჩნდა ამ დოკუმენტის ასლები და შევიტყვე, რომ მზადდებოდა მათი პუბლიკაცია, საჯაროდ უარვყავი მათზე ჩემი ხელმოწერა (TV – „ობიექტივი“, 01.10.2015წ.). ამის მიზეზი იყო ის, რომ გენეალოგიურ ფრაგმენტში ჩამოთვლილი 9 თაობიდან ჩემ მიერ შესწავლილი და დადასტურებული იყო მხოლოდ პირველი ოთხის წარმომავლობა – გიორგი XII-დან ელისაბედ გურიის ერისთავის ჩათვლით. ამის შემდეგი 5 თაობის გვარები კი არასდროს შემისწავლია, რის გამოც ვერაფერი მეცოდინებოდა მეფე გიორგი XII-სთან მათი ნათესაური კავშირის შესახებ. ხელმოწერის ასეთი საჯარო უარყოფა იყო ერთგვარი გაფრთხილება, რათა წიგნის ავტორებს თავი შეეკავებინათ დოკუმენტის პუბლიკაციისგან, ყოველ შემთხვევაში ჩემთან სიტუაციის გარკვევამდე მაინც. მაგრამ ასე არ მოხდა.

წიგნის გამოსვლიდან მალე ი.ბიჭიკაშვილმა, თავის ფეისბუქ-გვერდზე, (15.05.2015), სიცრუე უწოდა ჩემი მხრიდან დოკუმენტზე ხელმოწერის ფაქტის უარყოფას. მისი განცხადების თანახმად, მან თავად გამოიკვლია გიორგი XII-სგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობა, საქართველოს ისტორიულ არქივში მოიძია ფაქტის დამადასტურებელი ყველა მასალა, წარმომიდგინა და მათი გაცნობის შემდეგ, თითქოსდა, დავრწმუნდი რა მათ საფუძვლიანობაში, მისი, კანცლერის და ჩემი მეუღლის თანდასწრებით მოვაწერე ხელი და დავამოწმე ორივე ფურცელი საზოგადოების ბეჭდით.

მიუხედავად იმისა, რომ ვერც მე და ვერც მეუღლემ ასეთი რამ ვერ გავიხსენეთ, მაინც დავუშვი, რომ, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა რაღაც გაუგებრობას, რის გამოც, ჩემი ადვოკატის ლევან ჩხეიძის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილებით მივმართე ი.ბიჭიკაშვილს თხოვნით, გადმოეგზავნა, მისი სიტყვებით, მის მიერვე მოძიებული მასალების ასლები, გავეცნობოდი მათ და თუ ისინი დაადასტურებდნენ გიორგი XII-სგან მალანიას წარმომავლობას ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის ხაზით, ვაღიარებდი ამ ფაქტს, ძალაში დავტოვებდი ხელმოწერას და ინფორმაციას გავავრცელებდი მედიასაშუალებებით.

ი.ბიჭიკაშვილმა გადმოაგზავნა გარკვეული მასალები, რომელთაგან ვერც ერთი ვერ უპასუხებს ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს, ზოგ მათგანს კი საერთოდ არა აქვს მათთან და,ზოგადად, გენეალოგიასთან არანაირი კავშირი. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდა.

ამის შემდეგ თავად მივაშურე თბილისის და ქუთაისის არქივებს, სადაც მოვიპოვე დოკუმენტები, რომლებიც სრულად აქარწყლებს ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავისგან და, შესაბამისად, გიორგი XII-სგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის ვერსიას. უფრო მეტიც, დადგინდა ელისაბედის ნამდვილი შთამომავლების ვინაობა, ნაკაშიძეების და არა მალანიების სახით. ამაზე აღარ შევჩერდები, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ ჩემს ვრცელ პუბლიკაციას საზოგადოება მალე გაეცნობა.

ყოველივე ზემოთქმული მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ გრიგოლ მალანიას სახელზე გაცემულ დოკუმენტზე ან არ არის ჩემი ხელმოწერა, ან თუ იგი მე მეკუთვნის, მაშასადამე, მოპოვებულია არაკეთილსინდისიერი გზით, რის გამოც აღნიშნულ დოკუმენტს, №5, 20.01.2015 წ., რომელიც განთავსებულია წიგნში – „ბაგრატიონები – სამეფო ტახტის მემკვიდრე“, გვ.251-252, ვაცხადებ იურიდიული ძალის არმქონედ.

* * *

ბოლო თვეებში გამოჩნდა რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა დათარიღება-ნუმერაცია შეუსაბამოა გენეალოგიური საზოგადოების ჟურნალში დარეგისტრირებულთან. შესაძლოა, ასეთი აცდენები წარმოიშვა დროის იმ მონაკვეთში, როდესაც, ობიექტურ მიზეზთა გამო, ჩვენმა ოფისმა და, მასთან ერთად, დოკუმენტაციამ, ბეჭდიანად, რამდენიმეჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა, რა დროსაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო გარკვეული უზუსტობები, ან გამორჩენილიყო რომელიმეს ჟურნალში გატარება. ამას მაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ყველა მათგანი სწორედ იმ პერიოდით არის დათარიღებული, როდესაც საზოგადოება არ იყო დაფუძნებული ერთ კონკრეტულ ადგილას. თუმცა, შესაძლოა, იყოს სხვა მიზეზიც.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მივმართავ თხოვნით ყველას, ვისაც ხელთ აქვს ჩემ მიერ ხელმოწერილი და გენეალოგიური საზოგადოების ბეჭდით დამოწმებული საბუთი, გაცემული 2013 წლის 10.04-დან 2015 წლის 20.09-მდე, გადააამოწმოს იგი დროის ამავე მონაკვეთში ჩემ მიერ ხელმოწერილ და დარეგისტრირებულ, ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებთან და თუ მათი ნუმერაცია და თარიღი არ ემთხვევა ჩამოთვლილთაგან არცერთს, მომმართოს მათ გადასამოწმებლად და დასარეგისტრირებლად **პირადად მე** (კონსულტაცია-რეგისტრაცია ჩვენს საზოგადოებაში უფასოა). გაცნობებთ, რომ საბუთი, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში დარეგისტრირებულთან, გამოცხადდება ჩემი მხრიდან იურიდიული ძალის არმქონედ 2017 წლის 15 (თხუთმეტი) ივლისიდან.

საზოგადოების მიერ 2013 წლის 10.04-დან 2015 წლის 20.09-მდე გაცემულია და გენეალოგიური საზოგადოების სარეგისტრაციო რვეულში ამ დროისთვის გატარებულია შემდეგი საბუთები:

№171, 19.07.2013;	№172, 21.12.2013;	№173, 01.03.2014;
№174, 21.10.2014;	№175, 21.10.2014;	№ 176, 24.10.2014;
№177, 03.11.2014;	№178, 03.11.2014;	№179, 03.11.2014;
№180, 03.11.2014;	№181, 03.11.2014;	№182, 17.02.2015;
№183, 12.05.2015;	№184, 16.05.2015;	

ყველა დანარჩენი ექვემდებარება რეგისტრაციას.

ჩემთან დასაკავშირებლად: ტელ.; (+995 32) 237 49 19, (+995) 577 44 53 34 ,

(+995) 595 30 53 34; ელ ფოსტა: **iurichikovani@gmail.com ან chikovani@mail.ru**

საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჩიქოვანი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ „35 კვ საკაბელო ეგხ „იფარი-თეთნულდი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი: ქ. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. მესტია, სეტის მოედანი №1;

საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო: 2017 წელი, 21 თებერვალი, 15:00 სთ.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: „35 კვ საკაბელო ეგხ „იფარი-თეთნულდი“-ს მშენებლობა.

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 2017 წლის 13 თებერვლის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ.2. საკონტაქტო პირები: თინათინ ჟიჟიაშვილი, ტელ: 577380113, ელ. ფოსტა: tinatin.zhizhiashvili@gse.com.ge; ირაკლი ჯინორია, ტელ: 577 38 11 11 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.2;

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. მესტია, სეტის მოედანი №1;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;

განცხადება

მარნეულის მუნიციპალიტეტის ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სამუშაოების ფარგლებში მომზადებულია ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია საზოგადოებრივი განხილვისათვის. ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №73, ცხელი ხაზი 0 357 22 33 21, ელ. ფოსტა: municipaliteti@marneuli.ge
- საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია – მისამართი: თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას 10 ტელ.: (+995 32) 2 43 88 30; ელ. ფოსტა: info@waste.gov.ge
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: (+995 32) 272 72 60

ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ვებ გვერდზე www.waste.gov.ge. გზშ-სთან დაკავშირებული კითხვები და მოსაზრებები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მითითებულ მისამართებზე. ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება **2017 წლის 22 თებერვალს, 12 საათზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში**. საჯარო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საქართველო დონალდ ტრამპის ზარს არ უნდა დაელოდოს!

საქართველოს მთავრობასა და ტრამპის გარდამავალ გუნდს შორის ოფიციალური კონტაქტი ჯერ არ შემდგარა. დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტის ფიცს 20 იანვარს დადებს. მანამდე არჩეული პრეზიდენტი კაბინეტს აკომპლექტებს და ზოგიერთ ქვეყანასთან — მათ შორის, რუსეთთან — ურთიერთობის დეტალებზე საუბრობს.

„ახალი ამერიკის ფონდის“ მკვლევარი **მაიკლ ჩეჩირე** ამბობს, რომ საქართველომ ამ მიმართულებით ნაბიჯები თვითონ უნდა გადადგას: **„ეს, ჩემი აზრით, ის საკითხია, რომელიც საქართველოს მთავრობამ თვითონ უნდა განავითაროს. დონალდ ტრამპის მომავალი ადმინისტრაცია არაა კარგად ინტეგრირებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტში და არაა ბოლომდე გაცნობიერებული საგარეო პოლიტიკის ნორმებსა და ეტიკეტში“,** — განაცხადა ექსპერტმა. მან ასევე დასძინა, რომ **„იმის გამო, რომ მომავალ ადმინისტრაციაში ბევრი ისეთი ადამიანი იქნება დასაქმებული, რომლებიც პოლიტიკისგან დღეს შორს დგანან, ისინი საქმის კეთებას პროცესში ისწავლიან. ვფიქრობ, დონალდ ტრამპს შანსი უნდა მივცეთ და ვნახოთ რა მოხდება. ამასობაში კი საქართველომ ვაშინგტონს საკუთარი თავი უნდა შეახსენოს“.**

მაიკლ ჩეჩირეს თქმით, აშშ-ის მომავალ პრეზიდენტს ბევრი რთული ურთიერთობა ექნება სამართავი და ამასთან, თავის გართმევა არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოწვევისთვის მოუწევს. სწორედ ამიტომ, როგორც მკვლევარი ამბობს, საქართველომ თვითონ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ დ.ტრამპის გარდამავალ გუნდს დაუკავშირდეს: **„საქართველოს აქ (ვაშინგტონში) საელჩო აქვს, ჰყავს ლობისტები, ჰყავს მეგობრები, რომლებსაც შეუძლია დაუკავშირდეს და ხელშეწყობა სთხოვოს, ანუ საქართველოს ამ კავშირის დასამყარებლად რესურსი აქვს“. მაიკლ ჩეჩირეს მიაჩნია, რომ ეს ადვილი დავალება არ იქნება და „კონტაქტი რომც შედგეს, არ არის გარანტია, რომ ის წარმატებული იქნება. მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ შეძლებს საქართველო ახალი ადმინისტრაციისთვის თავის წარმოდგენას და იმის ჩვენებას, რომ საქართველოს მსოფლიოს უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილი შეაქვს და რომ ის ამერიკის მოკავშირეა“.**

ევროპის პოლიტიკის ცენტრის ანალიტიკოსი **დონალდ ჯენსენი** ამბობს, რომ გარდამავალი გუნდი ბოლომდე დაკომპლექტებული ჯერ არ არის და, შესაბამისად, მომავალ ადმინისტრაციას პრიორიტეტები ბოლომდე ჩამოყალიბებული არ აქვს. მაიკლ ჩეჩირეს მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ კონტაქტის ინიცირება საქართველომ უნდა გააკეთოს: **„მე რომ საქართველოს ადგილზე ვიყო, გარდამავალი გუნდისგან ზარს არ დაველოდებოდი. თუ თბილისს მიაჩნია, რომ რაღაცა მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი ამერიკის მომავალი ადმინისტრაციისთვის, ინიციატივა უნდა გამოიჩინოს, პროტოკოლის დაცვას ყურადღება არ უნდა მიაქციოს და კონტაქტზე თვითონ გავიდეს. არა მგონია, საქართველო დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პრიორიტეტი იყოს. ამიტომ ქართველებმა დრო არ უნდა დაკარგონ და კონტაქტზე თვითონ უნდა გავიდნენ“,** — აღნიშნა დონალდ ჯენსენმა.

ანალიტიკოსი ამბობს, რომ სენატორების ჯონ მაკკეინისა და ლინზი გრეემის რეგიონში ვიზიტი, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა გაიმართოს, მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამით ისინი დონალდ ტრამპს სიგნალს უგზავნიან, რომ მათთვის ეს რეგიონი პრიორიტეტს წარმოადგენს.

„ამერიკის ხმასთან“ საუბარში დონალდ ჯენსენმა ასევე განაცხადა, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას თუ ცდილობს, გასაკვირი არ არის, რადგან აშშ-ის ყველა პრეზიდენტი მმართველობის დასაწყისში რუსეთთან ურთიერთობას სწორედ ამ ნაბიჯით იწყებს. თუმცა მან ასევე განაცხადა, რომ ამ მხრივ, ზოგიერთი ფაქტორი მედიაში იმაზე მძიმედაა წარმოდგენილი, ვიდრე ეს სინამდვილეშია:

„ბევრი ქვეყანა გაურკვევლობაშია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიმოქმედებს ტრამპი. ამას არც მედიასაშუალებები ეხმარება. ვაშინგტონში ლიბერალური საგარო პოლიტიკის ისტებლიშმენტი ყველაფერს, რასაც ტრამპი ამბობს, დიდ ყურადღებას აქცევს“, — განაცხადა დონალდ ჯენსენმა. მისი აზრით, ამით მედია ცუდი ვითარების შეგრძნების გაჩენას ცდილობს.

„ვფიქრობ, დონალდ ტრამპს შანსი უნდა მივცეთ და ვნახოთ, რა მოხდება. ამასობაში კი საქართველომ ვაშინგტონს საკუთარი თავი უნდა შეახსენოს“, — დასძინა დონალდ ჯენსენმა.

დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკის შტრიხები ჯერ ისევ არ არის ჩამოყალიბებული. ერთი რამ, რაც მის განცხადებებზე დაყრდნობით ვიცით, არის ის, რომ არჩეული პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას ეცდება.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ჟენევის დისკუსიებში ხაჯიმბას არ მოსწონს!

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ ჟენევის დისკუსიები აფხაზეთს არაფერს დადებითს არ აძლევს.

„ჟენევის დისკუსიები ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ მსოფლიო საზოგადოების ყურამდე ჩვენი პოზიციები მივიტანოთ. მეტი არაფრისთვის. ჟენევის დისკუსიები არაფერს დადებითს არ ძლევს აფხაზეთს. საუბარი მიმდინარეობს გარკვეულ ჰუმანიტარულ ასპექტებზე, თუმცა როდესაც ჩვენ ვსვამთ კითხვას — ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვაქვს ის უფლებები, რომლებზეც თქვენ ზრუნავთ, რატომ არ ვრცელდება ისინი ჩვენზე? რატომ ვერ გადიან ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჩვენი სპორტსმენები, მსახიობები? რატომ ითხოვენ ჩვენგან გალის რაიონის მცხოვრებლების უფლებების დაცვას? ვინ თქვა, რომ ჩვენ მათ ვავიწროვებთ? მოგონილი ისტორიები კარგს არაფერს მოიტანს. ამიტომ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ აფხაზეთის მოსახლეობასაც, განურჩევლად მისი ნაციონალური შემადგენლობისა, აქვს უფლება, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომლებსაც საერთაშორისო სამართლის ნორმები ითვალისწინებს“, — განაცხადა ხაჯიმბამ.

ხაჯიმბამ კომენტარი გააკეთა გალის რაიონის მცხოვრებლების პასპორტიზაციასთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ძალიან გაჭიანურდა.

მუქარაც ასეთი უნდა...

ფილიპინების პრეზიდენტმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. როდრიგო დუტერტე კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ვერტმფრენიდან გადმოგდებით დაემუქრა. „თუ კორუფციასა და მექრთამეობას თავს არ დაანებებთ, ჩაგსვამთ ვერტმფრენში და მანილაში გადმოგყრით. მე ეს ადრეც გამიკეთებია და ახლაც არ დაგინდობთ,“ — განაცხადა ფილიპინების ლიდერმა. მანამდე დუტერტემ საჯაროდ განაცხადა, რომ რამდენიმე კრიმინალი პირადად ჰყავს მოკლული, რის გამოც გაერომ მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება მოითხოვა.

შობის შემდეგ სიდნეის პლაჟიდან 15 ტონა ნაგავი გაიტანეს

ავსტრალიის პლაჟებზე ალკოჰოლის მოხმარება აიკრძალა. ამის მიზეზი სანაპირო ზოლის დაბინძურება გახდა. მხოლოდ სიდნეის პლაჟიდან შობის შემდეგ 15 ტონა ნაგავი გაიტანეს. კუგის სანაპირო 26 დეკემბრის დილას ბოთლებით, სიგარეტის კოლოფებითა და ნამწვავებით იყო მოფენილი. შეზღუდვა თებერვლამდე იმოქმედებს.

კუბაში ქუჩებს ფიდელ კასტროს სახელს არ დაარქმევენ



ფიდელ კასტროს სახელის კულტივირება აიკრძალა. შესაბამის კანონპროექტს მხარი კუბის პარლამენტმა დაუჭირა. საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ქუჩებს რევოლუციის ლიდერის სახელი არ დაერქმევა. ასევე არ დაწესდება კასტროს სახელობის ჯილდოები და ტიტულები, რაც თავად კომანდანტეს უკანასკნელი სურვილი იყო.

ინდოეთში მატარებელი რელსებიდან ამოვარდა

მასშტაბური სარკინიგზო კატასტროფა ინდოეთში. ურატ პრადეშის შტატში რელსებიდან მატარებლის 14 ვაგონი ამოვარდა. ინციდენტს 2 ადამიანი ემსხვერპლა, ათობით კი დაშავდა. რამდენიმე დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია, რის გამოც მსხვერპლი, სავარაუდოდ, გაიზრდება.

ისრაელი 12 ქვეყანასთან ურთიერთობას წყვეტს

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია გახდა. დოკუმენტის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭომ პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული დასახლებების მშენებლობა უკანონოდ ცნო. ეგვიპტის მიერ მომზადებულ დოკუმენტს რამდენიმე დღის წინათ მხარი გაეროს უშიშროების საბჭოს 14 - მა წევრმა დაუჭირა.

არგენტინის ყოფილ პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ

არგენტინის ექსპრეზიდენტი კრისტინა კრიშნერი კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების ვარაუდით, პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას არგენტინის საგზაო სამუშაოებზე ტენდერს მხოლოდ კრიშნერის ოჯახთან დაახლოებული კომპანია იგებდა. ბრალდებას კრიშნერი უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ მის მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული შავი პიარ-კამპანია წამოიწყეს.

ალეპოს ნაღმებისგან წმენდენ

ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილში განაღმვითი სამუშაოები მიმდინარეობს. პროცესში რუსი გამნაღმველები არიან ჩართული. ამ ეტაპზე ნაღმებისგან გაწმენდილია 4 სკოლა, 9 მეჩეთი და ერთი საბავშვო ბაღი. განაღმვითი სამუშაოები ტარდება ქალაქის პალმირაშიც.

◎ ზოგი ისე უბერავს...

ვინ გახდა წლის პოლიტიკოსი?

(მესამე გვერდიდან)

„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი: „ჩემთვის 2016 წლის პოლიტიკოსი არის **გიორგი კვირიკაშვილი,** რომელმაც შეცვალა სრულიად არაჯანსაღი რეალობა, როცა მის წინამორბედ პრემიერს (ირაკლი ღარიბაშვილს) პრეზიდენტთან საქმიანი ურთიერთობის უფლება და სასახლეში სტუმრობა აკრძალული ჰქონდა. ეს იყო ყველაზე დაუდევარი და ზარალის მომტანი ქართული სახელმწიფოსთვის. კვირიკაშვილმა ეს სისტემა შეცვალა.

მთელი წლის განმავლობაში რთული გამოწვევების ფონზე, კვირიკაშვილი დაბალანსებულ გადაწყვეტილებებს იღებდა.

ჩემთვის უარყოფითი კონტექსტი 2016 წელს **პაპატა ბურჭულაძეს** ჰქონდა, რადგან ის პოლიტიკაში დიდი ელვარებით შემოვიდა, თუმცა როგორც შემდგომში დავრწმუნდით, ამ გაელვებას არ მოჰყოლია ის ჭექა-ქუხილი, რაც ბუნებრივი გაგრძელება უნდა ყოფილიყო.“

ექსპერტის პოლიტიკის საკითხებში გია ხუხაშვილი: „პოლიტიკურ პროცესზე გავლენის მიხედვით, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარებით, ლიდერობით, ამ მხრივ **ბიძინა ივანიშვილი** უკონკურენტოდ რჩება. ფაქტია, რომ ის მონაწილეობს თუ არა, პოლიტიკური პროცესი მისი ნიშნით მიდის და „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ელიტას საზოგადოება არ აღიქვამს გადაწყვეტილების მიღების უნარიანად და ვფიქრობ, თვითონაც აქვთ ეს არასრულფასოვნების კომპლექსი – არ მიიჩნევენ თავს რეალურ ლიდერებად. მეორე პოლიტიკოსი, 2016 წელს, მასშტაბის და გავლენის სიმცირის მიუხედავად, ჩამოყალიბდა

ლიდერად, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებებს იღებს. ეს არის საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. სხვა ყველა დამოკიდებული და ფსევდო ლიდერის რიტორიკით წარმოგვიდგება, რადგან არა აქვთ თავისუფალი პოლიტიკური ნება და სხვა ავტორიტეტით იჩრდილებიან“.

პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია: „მე დადებით კონტექსტში დავასახელებდი დავით უსუფაშვილის შემცვლელს, **ირაკლი კობახიძეს,** მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი შეკითხვა არსებობდა და დღესაც ალბათ არსებობს. ზოგიერთი ეჭვქვეშ აყენებს ახალგაზრდული ასაკის გამო მის პროფესიონალიზმს. ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი, გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ ეს წელიწადი მისთვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან რეალურად, ძალიან სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში. მე ვიტყოდი, რომ მას აქვს გარკვეული პიროვნული რესურსები, რომელიც შეუძლია გამოიყენოს და კიდევ უფრო განამტკიცოს საკუთარი იმიჯი ქართულ პოლიტიკაში. თუმცა ეს დროის საკითხია. ჯერჯერობით, დასაწყისი, როგორიც იყო, ალბათ ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსია. მით უმეტეს, ეს მისთვის რთული იყო იმ ფონზე, რომ მან შეცვალა დავით უსუფაშვილი, რომელიც საყოველთაო აღიარებით იყო ერთ-ერთი საუკეთესო სპიკერი ბოლო წლების ქართულ პარლამენტში. ამას მინდა ხაზი გავუსვა, რომ მას ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს ბევრი რამ, მაგრამ ჯერჯერობით, რაც მან გააკეთა, ალბათ აღნიშვნის ღირსია.

უარყოფით კონტექსტში მე ერთ პოლიტიკოსს ვერ დავასახელებდი, დავასახელებდი პოლიტიკურ დაჯგუფებას და ამას დავარქმევდი ლიბერალურ ცენტრს. ამ ლიბერალური ცენტრის პარტიებმა და პოლიტიკოსებმა იმედი გაუცრუეს ამომრჩეველს. ვერც ერთი მათგანი ვერ მოხვდა პარლამენტში და რაც მთავარია, მათ გაფლანგეს ამომრჩევლის იმედები და დღემდე კრიზისში იმყოფებიან. კაცი შვილმა არ იცის, რა მოხდება მომავალში. პოლიტიკოსების მაგივრად ამ ჯგუფს დავასახელებდი. მაგალითად **„თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკური პარტია“,** – ძირითადად, ეს ჯგუფი. ამ ჯგუფში შემავალმა პოლიტიკოსებმა ფაქტობრივად ვერ გაამართლეს იმედები და ეს იყო წლის დიდი იმედგაცრუება“.

საბოლოო ჯამში, ჩვენ დავუკავშირდით 10-ზე მეტ ექსპერტს. ზოგმა მათგანმა თავისი პოზიციის გაშუქებაზე, თუ ვინ არის წლის პოზიტიური და ნეგატიური პოლიტიკოსი, უარი გვითხრა, თუმცა პოზიცია მაინც დააფიქსირა. გამოკითხვის შემდეგ საბოლოო შედეგი ასეთი მივიღეთ: პოლიტოლოგთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ 2016 წლის დადებითი პოლიტიკოსი გიორგი მარგველაშვილია, ხოლო პაპატა ბურჭულაძეს უარყოფითი პოლიტიკური ფიგურის სტატუსი ვერავინ წაართვა. მომავალი, 2017 წელი, გამოცდილ პოლიტიკოსებთან ერთად, უკვე ახალი სახეებისთვის კარგი ასპარეზი იქნება, რათა სხვადასხვა გამოკითხვებით და შესაბამისად, საზოგადოების შეფასებით, ქართულ პოლიტიკაში დადებითი სტატუსი მოიპოვონ.

მანა ნოდია,
ნინი ცხადაია

თელავში ბატონის სასახლის მიმდებარედ ახალი მუზეუმი შენდება

მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გალაქტიონ ბუაძემ და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა დაათვალიერეს.

პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების სამუზეუმო და საგამოფენო სივრცის შექმნასა და გარე ინფრასტრუქტურის მოწყობას.

რეგიონული განვითარების პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოების დასრულებას მუნიციპალური განვითარების ფონდი 2017 წლის ზაფხულში გეგმავს.

ახალი მუზეუმი რეაბილიტირებული ბატონის სასახლის მიმდებარედ შენდება. სასახლის სარეაბლიტაციო სამუშაოები ფონდმა მიმდინარე წლის ოქტომბერში დაასრულა.

პროექტის ფარგლებში 65 ადამიანია დასაქმებული.

სადღესასწაულო დღეებში უფასოდ იმგზავრებთ!

სადღესასწაულო დღეებში, მეტრო და საბაგირო გზა „რიყე-ნარიყალა“, ასევე კუს ტბის საბაგირო მოქალაქეებს უფასოდ და შეცვლილი, გახანგრძლივებული გრაფიკით მოემსახურება. ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

თბილისის მერის თქმით, ახალი წლის ღამეს, 2016 წლის 31 დეკემბრის 00:00 საათიდან 2017 წლის პირველი იანვრის 04:00 საათამდე, ასევე, შობას 2017 წლის 6 იანვრის 00:00 საათიდან 2017 წლის 7 იანვრის 04:00 საათამდე მეტროთი მგზავრობა უფასო იქნება. ამასთან, მოქალაქეები უფასოდ შეძლებენ გადაადგილებას საბაგირო გზით - „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ 2016 წლის 31 დეკემბრის 23:00 საათიდან 2017 წლის პირველი იანვრის 03:00 საათამდე.

ქალაქი საახალწლოდ სრულ მზადყოფნაშია, დედაქალაქის მასშტაბით, წელს დამატებით კიდევ საახალწლო ილუმინაციებით რამდენიმე ქუჩა მოირთო. ასევე, გახსნილია „საახალწლო ქალაქი“ დედაეინის ბაღში და გელოდებათ „ახალი ტფილისი“, რომელიც წელს საკმაოდ დატვირთულია მრავალფეროვანი ღონისძიებებით.

„2017 წლის გალა კონცერტი წელს რესპუბლიკის (ვარდების) მოედანზე გაიმართება, სადაც თქვენ დაუვიწყარი სანახაობა გელით.

ელისოს ფონდი „ლირა“ და პატარა ვირტუოზები

თბილისი გალერეაში ელისო ბოლქვაძის ფონდ „ლირას“ საახალწლო კონცერტი გაიმართა.

მუსიკალურ საღამოზე ახალგაზრდა პიანისტებმა 11 წლის ბარბარე ჩხაიძემ, 13 წლის ბარბარე თათარაძემ და 13 წლის ილია ლომთათიძემ მსმენელისთვის კლასიკური საფორტეპიანო მუსიკის შედევრები შეასრულეს.

13 წლის ბარბარე თათარაძე ჰოლანდიის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის მფლობელია. ის ახლახან წარმატებით წარდგა მსმენელის წინაშე ამსტერდამის ცნობილ დარბაზ კონცერტგებოუში. ბარბარეს ლაივ-კონცერტს ხშირად აშუქებს ფრანგული არხი MEZZO, რომელიც მსოფლიოს 45 ქვეყანაში მაუწყებლობს.

13 წლის ილია ლომთათიძე ასტანის საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მას მიენიჭა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულტან ნაზარბაევის პრემიაც. ილია არაერთხელ მიიწვიეს რუსეთსა და საფრანგეთში პრესტიჟულ, საერთაშორისო ფესტივალებზე.

პატარა ვირტუოზები ამჟამად ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში იღებენ მუსიკალურ განათლებას. გარდა ამისა, რეგულარული მასტერკლასების ფორმატში, მიშელ სონის ცნობილ, ინოვაციურ საფორტეპიანო მეთოდს ეუფლებიან საფრანგეთსა და შვეიცარიაში.

ფონდი „ლირა“ 2013 წელს დააარსა ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა ელისო ბოლქვაძემ.

ფონდის მიზანი ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობაა. „ლირა“ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდთან „SOS Talents Michael Sogny“ (შვეიცარია), ასევე ყოველწლიური ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორია. „ლირას“ მხარდაჭერით ვირტუოზმა პიანისტმა ბავშვებმა არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა პრესტიჟულ გალა კონცერტებში საფრანგეთში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაში.

„ლირა“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სამუსიკო სკოლებთან, სადაც ელისო ბოლქვაძე რეგულარულად აწყობს მასტერკლასებსა და შესარჩევ მოსმენებს.

კარატე

სეზონის ფინიშზე

პრაღაში მსოფლიოს ერთობლივი კარატეს ფედერაციის (W.U.K.F.) ორგანიზებით გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში, სადაც ჩვენმა გუნდმა მესამედ მიიღო მონაწილეობა და კვლავ წარმატებით. ტურნირზე, სადაც 20-მდე ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა, საქართველოდან მზეჭაბუკ მახარაძემ ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეში უფროს კატეგორიაში II ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვა.

შემდეგ ერევანმა ყოველწლიურ საერთაშორისო ჩემპიონატს უმასპინძლა კარატეში, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდი გამოვიდა.

ანდრია კარბაია – I ადგილი, ინდივიდუალური კატა, 11-12 წლები.

II ადგილი, ინდივიდუალური კუმიტე, 11-12 წელი, – 40 კგ.

ირაკლი ხოჭავა – II ადგილი, ინდივიდუალური კატა, 14-15 წელი.

სეზონის დასკვნით აკორდს წარმოადგენდა 20-21 დეკემბერს ირანის დედაქალაქ თეირანში გამართული ყოველწლიური XII საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის გუნდმა უკვე მეხუთედ მიიღო მონაწილეობა და იქაც – დიდი წარმატებით. ამ პრესტიჟულ ტურნირზე, სადაც 20-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა, ჩვენმა გუნდმა საერთო ჯამში **1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს** მედალი მოიპოვა. შეჯიბრის ორგანიზატორი იყო ირანის კარატეს ფედერაცია, ხოლო ტურნირი გაიმართა მსოფლიოს კარატეს ფედერაციის (W.K.F.) წესებით. ოქროს მედალი ინდივიდუალურ კატაში ვეტერანთა შორის ბათუმელ ნოდარ ხაჩიშვილს ხვდა წილად, ხოლო ვერცხლის მედლები დაიმსახურეს **მზეჭაბუკ მახარაძემ** ინდივიდუალურ

კატაში უფროსთა შორის და **ანდრია კარბაიამ** 12 წლამდე ვაჟებს შორის ინდივიდუალურ კატაში.

ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ **აკაკი მეგრელიშილი (ბათუმი),** ინდივიდუალური კუმიტე (ორთაბრძოლა), 20 წლამდელ ვაჟებს შორის, **გიორგი დარჩიძე,** ინდივიდუალური კუმიტე (ორთაბრძოლა) – 65 კგ წონით კატეგორიაში, 14-15 წლიანებს შორის, **დავით გელაძე,** 14-15 წლიანებს შორის, ინდივიდუალური კუმიტე (ორთაბრძოლა), -55 კგ წონით კატეგორიაში. **საბა აბუსერიძე,** ინდივიდუალური კატა 12-13 წლიანებს შორის და ინდივიდუალური კუმიტე (ორთაბრძოლა) 12-13 წლიანებს შორის, -45 კგ წონით კატეგორიაში. გუნდურ კატაში (ტექნიკური კომპლექსი) ჩვენმა გუნდმა აგრეთვე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კობა კობახიძე

სამთო თხილამურები

პირველი გამარჯვებულები „თეთნულდმა“ დაასახელა

წლეულს მესტიაში თეთნულდის ფერდობს 4 ახალი „პომაგალსკის“ ფირმის საბაგირო შეემატა. ამჟამად აქ 30 კილომეტრის სიგრძის ტრასებია. საბოლოო სამუშაოების დასრულების შემდეგ მათი სიგრძე 60 კმ-მდე გაიზრდება, ზურულდისა და თეთნულდის ფერდობები ერთმანეთს გადაებმება და მოთხილამურეებს ამ ფერდობებზე მესტიიდან საბაგიროთი ასვლის საშუალება ექნებათ.

საქართველოს სათხილამურო ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომითა და სპონსორთა მხარდაჭერით მესტიაში ახლად გახსნილ თეთნულდის ფერდობზე 2016-2017 წლების საქართველოს სამთო-სათხილამურო თასის გათამაშების პირველი ეტაპი გამართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული და ბავშვთა ნაკრები გუნდების, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის სკოლის, ბაკურიანის, მესტიისა და აჭარის სასპორტო სკოლების სპორტსმენები. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ ასაკში გამოვლინდნენ:

გიგანტური სლალომი

ტრასის სიმაღლე 3200 მეტრი, ტრასის სიგრძე 550 მეტრი, კარების რაოდენობა 35, მონაწილეობდა 40 სპორტსმენი.

გოგონები

2003-2004 წლებში დაბადებულნი. 1. მარი ჩოგაძე (აჭარა, 2.06,71); **2001-2002 წ.წ.** 1. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.2470), 2. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.2479), 3. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1.36,38); **2000 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნინო წიკლაური (გუდაური, 1.14,64), 2. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.20,53), 3. ნინო გელაძე (აჭარა, 1.44,95).

ვაჟები

2003-2004 წ.წ. 1. ლუკა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.25,17), 2. სანდრო ჩინჩალაძე (ბაკურიანი, 1.26,54), 3. შაკო ხაჩიძე (ბაკურიანი, 1.28,46); **2001-2002 წ.წ.** 1. სანდრო ჟორჟოლიანი (სვანეთი, 1.16,24), 2. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 1.18,41), 3. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.20,61); **2000 წ. და უფროსები.** 1. გალო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.11,58),2. გიორგი ქურდოღლიანი (ბაკურიანი, 1.17,70), 3. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.18,31).

ლაშა დიდია

კრივი

ეროვნულს შალვა დუნდუა უხელმძღვანელებს

მას შემდეგ, რაც კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად სპორტის ამ სახეობაში ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით წიკლაური აირჩიეს, ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტი ვაკანტური გახდა. მის დასაკავებლად ხუთი კანდიდატურა განიხილებოდა. ფედერაციამ შალვა დუნდუა აირჩია, რომელიც აქამდე საქართველოს ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრებში მუშაობდა, 32 წლის სპეციალისტი ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში 2007 წლიდან ირიცხება. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კვლავ ბეჟან ჭიჭინავა მოამზადებს, ჭაბუკებთან კი ბექა ლობჟანიძე იმუშავებს.

გივი გაგუა

ლეგიონერები

შერმადინის ორმაგი დუბლი

გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის „ანდორამ“ ესპანეთის ლიგაში მორიგი გამარჯვება იზეიმა. ანდორელებმა სახელიანი „უნიკახა“ დაძაბულ ბრძოლაში – 92:87 დაამარცხეს, რაშიც ქართველი ლეგიონერების წილი სოლიდურია. გარდა იმისა, რომ შერმადინი და ბურჯანაძე მთლიანობაში შედეგიანები იყვნენ, ბოლო წუთებზე მათ გამარჯვებისთვის აუცილებელი ბურთები ჩააგდეს.

სასტარტო ხუთეულში მხოლოდ შერმადინი გამოჩნდა და ორივე გუნდის რიგებში ერთადერთი კალათბურთელი გახდა, ვინც ორმაგი დუბლი შეასრულა. გიორგიმ 27 წუთში 16 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

მან 12-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

სარგებლიანობის კოეფიციენტის (23) მიხედვით ქართველი ცენტრი მხოლოდ ავსტრიელ ტომას შრეინერს (26) ჩამორჩა, რომელმაც 5 სამქულიანი და 4 საჯარიმო მიითვალა და 19 ქულა მოაგროვა.

მოედანზე 18 წუთი გაატარა ბურჯანაძემ, რომლის მონაგარიც 7 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი იყო. ბექამ 2-ვე სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორქულიანი ააცილა, 1 შეცდომა დაუშვა, მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ, თავად კი სათადარიგოთა სკამზე 5 პერსონალური ფოლის მიღების შემდეგ გადაინაცვლა.

ამ მოგებით „ანდორა“ გაუთანაბრდა საკუთრივ „უნიკახას“ და თორნიკე შენგელიას „ბასკონიას“, რომელიც ამ ტურში დამარცხდა. სამივე გუნდს 8 მოგება და 5 მარცხი აქვთ და ცხრილში მე-5-7 ადგილებს იყოფენ. მომდევნო მატჩს ანდორელები 30 დეკემბერს“ სტუმრად ტენერიფეს „იბეროსტართან“ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ხელბურთი

იანვარში განახლდება

ევროპის გუნდი მონაწილეობს საქართველოს ხელბურთელ ქალთა 2016-2017 წლების ეროვნულ ჩემპიონატში. წილისყრით ისინი ორ ჯგუფში გადანაწილდნენ და პირველი წრის 2-2 შეხვედრა გამართეს. აღმოსავლეთის სამმა გუნდმა სასპორტო კლუბ „არენას„ დარბაზში იასპარეზა: „ყვარელი“ – „პეგასი“ 31:21, „მამული“ – „ყვარელი“ 29:32, „პეგასი“ – „მამული“ 30:27. დასავლეთის ტრიომ კი – სენაკის სპორტის სასახლეში: ფოთის „ოქროს ვერძი“ – „აჭარა“ 25:8, „აჭარა“ – „წყალტუბო“ 6:23, „ფოთი“-„წყალტუბო“ 15:14. ეროვნული ჩემპიონატის მესამე-მეხუთე ტურები 2017 წელს გაიმართება: დასავლეთ საქართველოს 3 გუნდი აღმოსავლეთის სამეულს შეხვდება და პირველი წრეც დასრულდება. საბოლოოდ, რეგულარული სეზონი გამოავლენს 4 საუკეთესოს, რომლებიც ჩემპიონობისთვის პლეი-ოფში გაიგრძობენ ბრძოლას.

სატურნირო მდგომარეობა: „ფოთი“- 4 (40:22), „ყვარელი“- 4 (63:50), „წყალტუბო“- 2 (37:21), „პეგასი“ – 2 (51:58), „მამული“- 0 (56:62), „აჭარა“ – 0 (14:48) ქულა.

ლექსო ცინცაძე

ტალანტი

დონარუმა „მილანში“ 2022 წლამდე 50 მილიონს გამოიმუშავებს

იტალიური „მილანი“, როგორც ჩანს, ჯანლუიჯი დონარუმას გაშვებას არსად აპირებს. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „როსონერის“ ხელმძღვანელობა მზადაა, 17 წლის კიპერს პირველი პროფესიონალური კონტრაქტი ჩინებული პირობებით გაუფორმოს.

2022 წლის 30 ივნისამდე იგი ხელფასის სახით 50 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. დონარუმას პროფესიონალური კონტრაქტის გაფორმება მას შემდგომ შეეძლება, როცა სრულწლოვანი გახდება, 18 წლის კი ჯიჯი 25 თებერვალს ხდება.

ჯანლუიჯი დონარუმა უკვე წელიწად-ნახევარია „მილანის“, ძირითადი მეკარეა და ევროპაში გრანდი აღარაა დარჩენილი, რომელთანაც მის სახელს არ აკავშირებდნენ. აქედან გამომდინარე, „მილანის“ თადარიგი აშკარად მოსალოდნელი გახლავთ.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

კოლინ რუნის ახალი ამირება

მინავლებული ინგლისელი ვარსკვლავის უეინ რუნის მეუღლე, მოდელი კოლინ რუნი ყოველთვის ათასგვარი უცნაურობებით გამორჩეული ქალი იყო და, ალბათ, მისი ბუნების სწორედ ეს შტრიხები იყო იმის მიზეზი, რომ რუნების ოჯახი მუდმივად ბრიტანული ბულვარული მედიის საკბილო გახლდათ.

კოლინი თავისას არც ახლა იშლის და ნამეტნავად ორიგინალური და უცნაური აზრებით აკვირვებს მტერსაც და მოყვარესაც. ამას წინათ უეინის ცოლმა ტაბლოიდ „სანს“ განუცხადა, რომ მისი ოცნებაა, ცნობილი ფეხბურთელების ცოლებისაგან მოყვარულთა გუნდი დააკომპლექტოს.

როგორც კოლინ რუნი ამბობს, მას ძალზედ სახალისოდ მიაჩნია ფეხბურთელების ცოლების გუნდის შექმნა და ეს პროექტი შესაძლებელია იმდენად საინტერესო და „გაყიდვადი“ გახდეს, რომ მთელი მსოფლიო აალაპარაკოს. კაცმა (ან თუნდაც ქალმა) რომ თქვას, ჭეშმარიტად ორიგინალური აზრია და ვინ იტყოდა უარს ასეთ სანახაობაზე?!...

როსტომ რაჭველიშვილი

ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება – სახელმძღვანელო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, განათლების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მურღულიამ და ქალაქ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მიმართეს. სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისთვის 2015 წელს სკოლამდელი განათლების სტანდარტში შევიდა ცვლილება და აისახა გარემოსდაცვითი კომპონენტი; 2016 წელს შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო – ,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“; სექტემბრის თვიდან ახალი სახელმძღვანელო ,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ ოფიციალურად დაინერგა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში; სახელმძღვანელოს წარმატებით დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, გადამზადდა ქ. თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის (160-მდე) მეთოდისტი და აღმზრდელი. შეხვედრაზე მეთოდისტებს და აღმზრდელებს სერტიფიკატები გადაეცათ.

სანთელი

ნანული (ნანა) გუნია, ედუარდ კავთიძე, გიორგი ლაგვილავა დიდი გულისტკივილით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული პიროვნების, ცნობილი ჟურნალისტის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს ნავთობის მრეწველობის ყოფილი თანამშრომლები რევაზ თევზაძე, გიორგი მახარაძე, გოგი ბერაია, ვახტანგ საყვარელიძე, სოსო ღუდუშაური, გულიკო მაისურაძე, ნიკოლოზ თევზაძე, ირაკლი თავდუმაძე, ალეკო ჭიჭინაძე, გიორგი ტატიშვილი, გია ითონიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგიური კვლევების ცნობილი სპეციალისტი, ქართული ნავთობის ქომაგი, სუფსის, ნინოწმინდისა და მანავის ნავთობის საბადოების გეოლოგიური ძიების ორგანიზატორი, თანამოწილე და 90-იანი წლების პირველი უცხოელი ინვესტორი (ინგლისელი), საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ბატონი

დევიდ რობსონი

და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ ლონას და ოჯახის წევრებს.

მსჯავრდებულთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა

№17 პენიტენციური დაწესებულების საგანმანათლებლო ცენტრში მსჯავრდებულთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე 40-მდე მსჯავრდებულის მიერ შესრულებული რელიგიური ხასიათის 200-მდე ხეზე კვეთის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომლებიც უნიკალური მასალითა და ტექნოლოგიით არის დამზადებული.

მსჯავრდებულებმა ხეზე გამოკვეთეს არაერთი ფრესკა, მათ შორის ლენჯერისა და ნესგუნის ჯვარცმის ფრესკების ასლები, ასევე, ხეზე გადაიტანეს მე-7 საუკუნის სვანურ საცეცხლურზე გამოსახული ჯვარცმა. როგორც ხეზე კვეთის მასწავლებელმა ოლივერ შველიძემ გამოფენის სტუმრებს განუცხადა, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ ნამუშევრებს ანალოგი არ გააჩნია.

ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის განცხადებით, მისასალმებელია სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან მსჯავრდებულთა სწავლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, მათთვის ხელშეწყობა ხატწერისა და ხატკვეთის დაუფლებაში.

„ხეზე ნაკვეთი ხატების გამოფენაზე უნიკალური ნამუშევრებია წარმოდგენილი. მსჯავრდებულებმა ხეში გამოკვეთეს ქართული ხატწერისა და ფერწერის ნიმუშები, რაც აქამდე არ მომხდარა. ადამიანები, რომლებიც ხელოვნების ასეთ ნიმუშებს ქმნიან, თვითონ ივსებიან რწმენითა და სიყვარულით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა სულიერი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის,“ – ბრძანა რუსთავის მთავარეპისკოპოსმა მეუფე იოანემ.

ხეზე კვეთის მასწავლებლის ოლივერ შველიძის განცხადებით, ხეზე კვეთის სწავლასთან ერთად, მსჯავრდებულები ხატწერისა და ხატკვეთის კანონიკას, ასევე, საღვთო ისტორიას ეცნობიან.

ტელეფონების ნომრები, რომლებიც, საგანგებო ვითარებაში, შეიძლება, თითოეულ ჩვენგანს დასჭირდეს:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 112,
- საპატრულო პოლიცია –112;
- სახანძრო-სამაშველო სამსახური – 112;
- დაცვის პოლიცია: 125;
- გენერალური ინსპექცია – 126;
- ცნობათა ბიურო – 118 -08
- დედაქალაქის მერიის ცხელი ხაზი – 272-22-22;
- ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 294-49-11; 294- 34-98;
- სახალხო დამცველის აპარატი – 299-58-98; 292-24-79;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი – 237-69-50; 245-45-33;
- ბავშვის უფლებათა საქალაქო ცენტრი – 299-66-04;
- ამინდის ბიურო – 243-95-31; 245-95-39;
- ყაზტრანსგაზის საინფორმაციო სამსახური – 231-04-04;
- გაზის საავარიო – 04; 274-86-27; 274-89-04;
- თელასის საინფორმაციო ცენტრი – 27-52; 225-52-11;
- თელასის ცხელი ხაზი – 277-99-99; 227-44-11;
- წყალკანალის ცხელი ხაზი – 293-11-11,
- წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური – 248-72-88;
- კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი – 293-11-11;
- აეროპორტის საინფორმაციო ბიურო – 231-04-21;
- რკინიგზის სადგური – 256-35-66; 256-47-60;
- დიდუბის ავტოსადგური „ოკრიბა“ – 234-26-92;
- ნავთლუღის ავტოსადგური – 274-83-03; 274-63-23.

ჩქაროსნული მაგისტრალი მალე მწყობრში ჩადგება

E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 15.2 კმ-იან მონაკვეთზე, გათვალისწინებულია ცემენტ-ბეტონის საფარიანი 4-ზოლიანი ჩქაროსნული გზის, 9 პარალელური ხიდის, 2 სატრანსპორტო კვანძის, 5 საფეხმავლო ხიდის, მიწისქვეშა გასასვლელებისა და რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მშენებლობა. პროექტზე 360 ადამიანია დასაქმებული.

ამ დროისთვის, ხიდებზე ბურჯების, რიგელების, ლითონის ბარიერებისა და სადეფორმაციო ნაკერების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე ადგილზე გაეცნენ.

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, შეამცირებს გადაზიდვების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას.

აღნიშნული მონაკვეთი, პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივის, 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულების ქვეყნის სივრცითი განვითარების უმთავრესი ნაწილია.

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება.

კრიმინალი

ძარცვის ფაქტი გაიხსნა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ჯ.ს. და 1996 წელს დაბადებული ტ.ხ. ყაჩაღობის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 26 დეკემბერს ბრალდებულები გლდანში, მე-4 მ/რ მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალში შეიჭრნენ, იარაღის მუქარით თანხა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ ჯ.ს. და ტ.ხ. მომხდარიდან მეორე დღეს, ბათუმში დააკავა. ბანკიდან წაღებული ფულის ნაწილი – 1475 ევრო, 640 ლარი და 60 აშშ დოლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

77 - ორი შვიდიანი

„გორის მოამბიდან“ – ლიმონარიუმამდე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად გულითადად ულოცავს ღვაწლმოსილ კოლეგას **ამირან ადამიშვილს** დაბადებიდან 77 (ორი შვიდიანი!) და ფოტოჟურნალისტიკაში მოღვაწეობის 60 წლისთავს.

საშუალო და ძველი თაობის მკითხველებს კარგად ახსოვთ ამირან ადამიშვილის პროფესიული ოსტატობით აღბეჭდილი ჩვენი თანამედროვეთა პორტრეტები, ჩანახატები, შრომის რიტმი და აღმშენებლობის ფართო პალიტრა. ჟურნალისტის პირადი არქივი ათიათასობით ფოტოპირს შეიცავს.

ეს ჩვენი ისტორიაა, რომელსაც გაეცნობი და წაიკითხავ „კომუნისტის“ „ზარია ვოსტოკას“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „სოფლის ცხოვრების“ „გორის მოამბის“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე.

დამთავრდა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთი ღირსსახსოვარი პერიოდი. დღეს ამირანი დამსახურებულ პენსიაზეა და იმედიანი ხვალინდელი დღით ცხოვრობს. მისი ახალი გატაცება თავის კოპწია ბაღში ხეხილის რგვა და გახარებაა. სულ ახლახან ორანჟერეა გააშენა და ლიმონის პირველი მოსავალიც მიიღო.

ამირან ადამიშვილი. შემოდგომა. ატენის ხეობა.

ანეკდოტები

ისე, კაცმა რომ თქვას, სამართლიანობა, პრინციპში, მაინც არსებობს: ადრე თუ გვიან ყველანი, ვისაც მისი სწამს, ისჯებიან თავიანთი სულიერი მიამიტობის გამო.

* * *

— **ბიჭო,** სიმონიკა, თუ იცი, ბოშო, ბზიკი რაფერ უნდა მოკლა ადვილად?

— არა, არ ვიცი.

— რაფერ და კარადის ქვეშ უნდა შერეკო ჯერე და მერე

სწრაფად ფეხები მოახერხო!

* * *

ამერიკელი ტურისტები რომში, წმიდა პეტრეს ტაძარში მიქელანჯელოს მიერ მოხატულ ჭერს ათვალიერებენ, ერთ-ერთი ქერათმიანი ქალიშვილი სიმპათიურ ყმაწვილ გიდს ეკეკლუცება და თავის გამოსაჩენად ეკითხება:

— მითხარით, მარიო, ნუთუ იმ თქვენ მიქელანჯელოს არ უჭირდა ამსიგრძე ფუნჯებით ისე მუშაობა, რომ საღებავი ზედ არ დასხმოდა?

* * *

— **თუ იცი, მარგო, ჩვენი მეზობელი ლოლიტას ქორწილი როდისაა?**

— **აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო, მისი საქმრო სულ ახალ-ახალ მიზეზებს იგონებს ქორწილის გადასადებად.**

— **კი მაგრამ, ახლა რაღას ამბობს?**

— **რას, ბატონო და დაუჩემებია — ეს მესამე ბავშვი ჩემი ნაღდად არ უნდა იყოსო...**

* * *

ძალიშვილი:

— **ცოლად რომ გამოგყვე, უფროსი სამუშაოდან დამითხოვს, ასეთ კარგ ადგილს კი ნამდვილად ვეღარსად ვიშოვი!**

ვაჟი:

— **ჩვენც ჩვენი შეუღლება არ გავამხილოთ!**

ქალიშვილი:

— **კი მაგრამ, ბავშვი რომ გაგვიჩნდება, მერე რაღა ვქნათ?**

ვაჟი:

— **რა ვქნათ და ბავშვს სიმარტლე ვუთხრათ!**

„სამოთხის“ ვაშლები



დიდი ოდენობით ხილის მოხმარება ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას უფრო ადრე აუმჯობესებს, ვიდრე ფიზიოლოგიურს, აცხადებენ უორვიკის უნივერსიტეტის მეცნიერები.

ბრიტანელმა მკვლევრებმა ავსტრალიელ კოლეგებთან ერთად 12 ათასზე მეტი კაცის კვების რაციონი და უპირატესობები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ როგორც კი ადამიანი დღეში ერთი ულუფა ხილის მაგივრად რვას მიირთმევს, სიცოცხლით კმაყოფილების გრძნობა მასში მკვეთრად გაიზრდება!

თუ განცდები გაქვთ და ხატვა გსურთ...

შემოქმედებითი მოღვაწეობა სტრესთან გამკლავებას უწყობს ხელს.

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ არტ-თერაპიის დროს ორგანიზმში სტრესის ჰორმონის შემცველობა 75 პროცენტით იკლებს. თანაც ეს ეფექტი აღენიშნება არა მარტო პროფესიონალებს, არამედ მორიდებული შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მოყვარულებსაც.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამ დადებითი შედეგის მისაღწევად, შემოქმედებითი საქმიანობა 45 წუთს მაინც უნდა გრძელდებოდეს.

საიდან ამდენი ფსიქოპატი?

თითქმის ყველა დღეს მასობრივი მკვლელობების შემზარავი ამბები მოაქვს. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენ მასობრივი ფსიქიკური დეგრადაციის პირობებში ვცხოვრობთ, როცა კომპიუტერულმა თამაშებმა და სოციალურ ქსელებში მიმოწერამ ადამიანებს ცოცხალი ურთიერთობა, წიგნის კითხვა, რელიგია ჩაუნაცვლა.

დარღვეული ფსიქიკის მქონე ადამიანთა ოდენობა დღითი დღე მატულობს, მათი „ამოქმედების“ საბაბი კი, შესაძლოა ტერორისტების შესახებ ახალი ამბების გამოშვებები გახდეს, რადგან ასეთ ხალხს ხშირად ჰგონია, რომ ესაა ბრბოზე ამაღლების, ისტორიაში შესვლის ყველაზე მარტივი გზა.

გარდა ამისა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აგრესიის ამოფრქვევა, შესაძლოა, მსოფლიოში დაძაბულობის შედეგი იყოს, რის გამო ფსიქიატრიული დარღვევების მქონე პირთა რიცხოვნობა იზრდება.

ადრე დაწვები – გვიან ადგები

რაც უფრო გვიან წვება კაცი დასაძინებლად, მით უფრო ნაკლები სძინავს.

მაგალითად, იაპონიასა და სინგაპურში, სადაც დასაძინებლად ნაშუაღამევს წვებიან, ძილის საშუალო ხანგრძლივობა 7 საათზე ცოტათი მეტს შეადგენს. ხოლო, ვთქვათ, ჰოლანდიაში, სადაც ძილად დაწოლის გასაშუალოებული დრო დაახლოებით 23 საათია, ძილის ხანგრძლივობა 8 საათს აღემატება.

ყველაზე ცოტა კი შუა ხნის ადამიანებს სძინავთ.

სიმტკიცისა და მოქნილობის „დარაჯი“

მწვანე ჩაი არტერიებს რღვევებისგან იცავს, აცხადებენ იაპონელი მეცნიერები, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ მასში შემავალი პოლიფენოლები ხელს უწყობს აორტის უჯრედებს დიდი რაოდენობით ელასტინის გამომუშავებაში. ელასტინი — ესაა ცილა, რომელიც ხელს უწყობს აორტის კედლების გამძლეობისა და მოქნილობის შენარჩუნებას.

ჩაის ანტიოქსიდანტები კი თრგუნავენ ანთებით პროცესებს და ანელებენ არტერიების უჯრედების ბუნებრივი კვდომის პროცესს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851



9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6683; ევრო - 2.7889;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2729;
100 რუბლი - 4.3851; თურქული ლირა - 0.7580;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4880;
1000 სომხური დრამი - 5.5176.

ამინდი 29 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5	დღე +7
მთიანი რაიონები -	ღამე -10	დღე +5
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -6	დღე +8
თბილისი:	ღამე -1	დღე +4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE